ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

მოსწავლეთა და ხალხისათვის.

# აბრამ ლინკოლნი

## ამერიკის ზანგების

## განმათავისუფლებელი.

3913

თარგმანი

იასონ წერეთლისა.

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР

ტფილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა

1897.

Дозволено цензурою Тифлисъ, 31 Марта 1897 года.



აბრამ ლინკოლნი,

ᲩᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ.

დაიბადა 12 თებერვალს 1809 წ., მოკლულ იქმნა 15 აპრილს 1865 წ.

1945
1846
11199

ახალგაზდებო! წაიკითხეთ ეს წიგნაკი: იგი ერთი-ორად აამფრთოვანებს თქვენ სულიერ ძალებს!..

მშობლებო! ხშირად წაუკითხეთ ეს წიგნაკი თქვენს შვილებს: იგი ერთი-ორად გაამხნევებს მათ!..

## ჭენთუჭიდან ინდიანში.

ადაშალე, მკითხველო, ჩრდილო ამერიკის რუკა და მოძებნე ქენთუქის და ინდიანის შტატები. ქენთუქის შტატს იპოვნით დიდი მდინარის მისისიპის მარცხნივ და ინდიანის შტატს—მარჯვნივ. მთავარი ქალაქი ქენთუქში არის ფრანქფორტი და ინდიანში—ინდიანოპოლი...

იყო შემოდგომა 1816 წლისა, რომ კიწრო და უსწორ-მასწორო გზით, მძიმედ დატვირთული ურემი მიდიოდა. ეს ურემი იყო კინმე თომა ლინკოლნისა, რომელიც იმ ჟამად ქენთუქის შტატიდამ ინდიანის შტატისკენ მიემგზავრებოდა იქ დასასახლებლად. თვითონ თომა ლინკოლნი და ცოლი მისი

ურემზე ისხდნენ და შვილები-კი, ერთი, შვიდი წლის ვაჟი, და მეორე, რვა წლის ქალი, ურემს შორი-ახლო მოსდევდნენ.

ვაჟის სახელი იყო ები, ე. ი. აბრამი; მას ხელში შოლტი ეჭირა და თავ-მოწონებით დრო-გამოშვებით ოდნავ სტუქსავდა სიგამხდრისაგან ფერდებ-ჩაცვივნულ ცხენს. ადვილი არ იყო მათთვის სამშობლო კერის დატოვება; ამას აშკარად მოწმობდა მათი მწუხარე თვალები და საბრალო დედა-კაცის ცრემლები, მაგრამ სიღარიბემ და გაჭირებულმა ცხოვრებამ აიძულა ისინი, უკეთესი საცხოვრებელი ადგილი მოეძებნათ.

ასე მიდიოდა ეს ბაწია ქარავანი დღითი-დღე წინ და მხოლოდ ბურის საჭმელად და ღამის გასათევად თუ დადგებოდნენ სადმე ტოტა ხნობით. აი, როგორც იყო მიაღწიეს ოგიოს მდინარეს, რომელსაც ინდიელები, წითელ-კანიანი მკვიდრნი ამერიკისა, სამართლიანად „ლამაზ მდინარეს“ ეძახიან. აქ ჩვენი მოგზაურები გადასხდნენ ფართო ფსკერიან გემზე; გემი მსუბუქად მისრიალებდა შემოდგომის წვიმებით მოდიდებულ მდინარეზე; საუცხოოდ მორთულ-მოკაზმული ნაპირები აღტაცებით გულს უვსებდა ოჯახის ბატარა მოგზაურებს; მაგრამ უფროსებს-კი დიდად არაფრად ართობდა ეს მშვენიერი სანახაობა. ბავშვები განსაკუთრებით აღტაცებით უცქერდნენ ყურძნის სანაქებო მტევნებს, რომელთაც თავისი სიმძიმით სულ ძირს დაეწიათ კაზები...

მდინარის ორივე კიდეთ, ზოგი შორს და ზოგი ახლო, მოჩანდა მშვენიერი მწვანე სერები, დათვრილი უშველებელი ჭანდრებით, წიფლებით და ნიგვზის ხეებით. მათ ხშირ მწვანეში აქა-იქ მოჩანდა ბატარ-ბატარა სოფლები, თავისი თეთ-

რად გალესილი სახლებით, კოპწია ეზოებით, ბაღებით და ბოსტნებით.

ფარეოდ გადაშლილ კაკე-მინდვრებზე ჭმოკდნენ ცხენები და ძროხები, ღობეზე დანავარდობდნენ ცელქი ციყვები. ხანგრძლივი მოგზაურობით ღონე-მიხდილ მგზავრებმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს თავისუფლად, როცა ნავმა მიიყვანა ისინი ერთ მხიარულად მოჩახჩახე და ბრწყინვით გამსჭვირვალე წყაროსთან, სადაც თომა ლინკოლმა ამჯობინა ახალი ბინის დადება და ქოხის აშენება. დიდის გულმოდგინებით მიჰყვეს ხელი გადასახლებულებმა ერთი უბრალო ქოხის დაჯდერგებას. საჭირო იყო საჩქაროდ დაჭრა ხეებიისა და მათი გათლა; ოჯახის თვითეულ წევრს უნდა დაუზარებელი მონაწილეობა მიეღო საერთო მუშაობაში; ამიტომ მიჰყო ხელი მუშაობას თვით პატარა ებმაც-კი, და, აი, სულ სამს დღეში გადასახლებულებმა კოპწია ქოსი წამოჭიმეს! ქოხში იყო მხოლოდ ერთი ოთახი და სხვენი. ეს უკანასკნელი ასრულებდა საკუჭნაოს და ტანისამოსის შესანახ დანიშნულებას. მას ერთი სხვა დანიშნულებაც ჰქონდა: აქ იძინებდა პატარა ები. ყოველ საღამოს ამკრებოდა ის ციცაბო კიბით სხვენში, გაიშლიდა ლოგინს და მიეცემოდა ტკბილ ძილსა.

წერა-კითხვა პატარა ებიმ ჯერ ქენთუქშიგე შეისწავლა. და აქაც, ახალ ადგილ საცხოვრებელს, გულ-მოდგინებით განაგრძო სწავლა. მაგრამ წიგნზე უკეთ მას უფრო ის მეცნიერება ესმოდა, რომელიც გაშლილი იყო ნათელი და ლაჟვარდი ცის ქვეშ. გაათავებდა გაკვეთილს თუ არა, პატარა ები იმ წამსვე მიაშურებდა ყვავილებს, ხეებს, ბალახებს და ხეხილებს: აქ სწა-

ვლობდა ის ბუნების დიდ სიდუმლოებას, ყოველი ფეფელა, ყოველი ფრინველი გაცნობდა მას რასმე ასალს, რასმე სახალისოს...

პირველი საჩუქარი, რომელიც პატარა ებიმ მიიღო მამისაგან ახალს სამშობლოში—იყო თოფი. თოფი იმ დროს ძვირფასი განძი იყო ყველასთვის, რადგან ყაჩაღობა და ძალმომრეობა ძალიან გავრცელებული იყო იმ მხარეს. პირველი ფრინველი, მოკლული პაწია მოსადირისაგან, იყო გარეული ინდაური, რომელიც მეტად ახლო მოსულიყო მათ სახლთან.

ჯერ ერთ წელიწადსაც არ გაეკლო ლინკოლნების ინდიანში მისვლის შემდეგ, რომ პატარა ებეს დიდი უბედურება შეემთხვა: მას მოუკვდა დედა. ჭირის-უფლებმა ჩასვენეს საყვარელი მიცვალებული უბრალოდ გაკეთებულ კუბოში და დამარხეს ერთს პაწია გორაკზე, ტყეში, სადაც შემდეგში პატარა ებეს ხშირად უყვარდა მოსვლა და იქ ჯდომა, რადგანაც ყველაზე სამძიმოდ ეს დანაკლისი მას დაურჩა: იგი მოაკლდა დიდად საყვარელ არსებას, რომელსაც საუკეთესო გაკვლენა ჰქონდა მასზე. ტკბილი ნეტარ-ხსენება დედისა ებემ დაუვიწყარად შეინახა მთელს თავის სიცოცხლეში. ის მხოლოდ დედას აწერდა თავის იმ ხასიათს, რომ ყველასთან თანხმობით ეცხოვრა, ყველასთვის დანაშაული მიეტოვებია, ყველასთან მშვიდად და ტკბილად ყოფილიყო...



## ცხოვრება ამერიკის ახალ-მოშენეთა.

ამერიკის ახალ-მოშენენი რალაც განსაკუთრებული მოდგმის ხალხია. გარდა თოფისა, ტულისა და დაბადების წიგნისა, ეს ხალხი თითქოს სხვას არასფერს საჭიროებს. უძვირფასესი ავლა-დიდება გლეხისა მისი ტოლშვილია, ხოლო ძლიერი მარჯვენა — საუკეთესო დამცველი მისი უფლებისა. ცხოვრების ავ-კარგიანობაში ევროპიელი ახალ-მოშენე უმეტეს ნაწილად ჭბაძავს ამერიკის ტყის შვილებს — ინდიელებს. როცა მიდის სახადირო, ინდიელების მსგავსად ის ისურავს თავზე ტყავის ქუდს და იცვამს ფეხზე ტყავის ბანდულებს. თოფი, სანადირო ხურჯინი და ტყვია-წამალი — ეი მთელი მისი სამკაული. ციგ-ნესტიან ამინდებში ჩასაცმელად მას მიაქ თან ფართო სანადირო კაბა და შალვარი, ირმის რბილი ტყავისა. ტანთ-საცმელი, როგორც ყოველიკე მოწყობილება ციზნისა, მეტად ოსტატურად და უბრალოდ არის მოწყობილი. განსაკუთრებული მისი ადგილსამყოფელი არის ტყე: მთელი კვირაობით მოშორებულია ის თავის სახლობას. არ არის არც ერთი კუნჭული მისგან მიმოუვლელი: ის დადის-დაეხეტება თვით ისეთ ადგილებშიაც-კი, სადაც ჯერ კაცის ფეხი არ დადგმულა! მან არ იცის რას ნიშნავს გზის დაბნევა. მტკიცე ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელიც ჭბედავს შესვლას ათას-წლოვან დაბურულ ტყეში, რომლის წყვდიადი და სიბნელე თავზარს დასცემს სხვა ამაოდ

მორწმუნეს! სოცარი მუდრობა სუფევს უზარმაზარ ხეებსა და ჯაგნართა შორის, რომელთაც, ხშირ-ფოთლოვანი შტოებით ისე აქვთ თავი შეკრული, რომ მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაატანს მზის სხივი ტყის სიღმრეში და ერთი წუთით თუ გაანოცხლებს საიდუმლოებით მოცულ სიბნელეს! მგზავრის თავზე დაღუღუნებენ გარეული მტრედები, მის ფეხ-ქვეშ კი მიიზლაზნებიან და გორგალსავით იკლაკნებიან უშველებელი გველები. აქ ხშირად შეხვდებით ორ და სამ საუნიან გველებსაც, რომლებიც ფერად-ფერადი ყვავილებივით და ცისარტყელასავით ელვარებენ მწვანეში. ნახავთ აქ ზონზოლა გველ-ხარსაც თავისებური სივიღით, თითქო ღმუისო, რომელიც ნელა და ზარმაცულად დგება კალხზე. ერთი სიტყვით, ამერიკის ტყე ბუნაგია თავ-ზარ-დამცემი შიშისა, მაგრამ ევროპიელმა მოხადირემ დასძლია მისი წუდიადი ძალა! მის წინაშე თავს იხრის და მას ერიდება ის, რაც სხვისთვის დამღუპავ-დამხელებელია. მოხადირე ხიზნები მომეტებულად ერთად ნადირობდნენ: მოიყრიდნენ თავს რამდენიმე კაცი და გაუდგებოდნენ გზას. დღისით ისინი დაუღალავად ჭსდეგნიდნენ გარეულ ფრინველს და ნადირს. თუ რომ დიდ ნადირს მოჭკლავდნენ, მაგალითად, ირემს, ისინი ატყავებდნენ მას და ხორცს მაღალ ძელებზე ჭკიდებდნენ, რომ მგელს და სხვა ნადირს არ წაეღო, საღამოობით-კი ერთად იკრიფებოდნენ და ნოყიერი ვახშმით და ზედ მიყოლებული მხიარული მუსაიფით, ხუმრობით და სიმღერით თავდებოდა შრომაში გავლილი დღე...

მეოთხე მცნებას: „ექვს დღეს იშრომე და გააკეთე ყოველი შენი საქმე, ხოლო მეშვიდე დღე მოახმარე ღვთის მსახურებას“ ამერიკის ახალ-მოშენენი შეუცვლელად ასრულებდნენ. არავინ

ხელს არ ახლებდა თოფს გვირაბით, ისე წმინდათ ინახავ-
დნენ ამ დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, მათ
რაიმე უბედურება შეემთხვევოდა.

ხანგრძლივი ნადირობის შემდეგ, ხიზანი, ათას გვარ
შიშსა და ჭირს გამოვლილი, ბრუნდებოდა ოჯახში და აქ
ატარებდა დროს თავის ცოლ-შვილში. მისი უბრალო ქო-
ხი სავსებით აკმაყოფილებდა მას. რომ ცოტაოდენი ლაზათი
მისცემოდა ოთახს, სახლის ყოველი კუთვნილება კედლებზე
ჰქონდათ ჩამოკიდული, კ. ი. ტანისამოსი, ცულები, ნაჯახები, და-
ნები და სხვა ამგვარი. ტახტი, აკვანი, მაგიდა, სკამი, კასრები
და სხვა,—ყოველივე ეს უბრალოდ და უშნოდ გაკეთებული
თვითონ ოჯახის უფროსისგან—ამთავრებდა უბრალო სადგომის
ღარიბ მორთულობას. ოჯახის შინაურ საქმეთა მზუნველობა,
რადა თქმა უნდა, ხიზნის ცოლის საქმე იყო და, უნდა სიმარ-
თლე გასთქვათ, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამერიკის ბირველ მო-
შენეთა ცოლებს და ქალებს თავიანთი ახალი საბშობლოს გა-
კეთება-აშენებაში.

ასეთი უბრალო იყო შინაური მოწყობილობა ხიზნისა;
ასეთი უბრალო იყო თვით მისი ცხოვრებაც. სადილ-ვახშმად
მჭადისა და მოხარშული სიმინდის მეტი არა გააჩნდა-რა მას;
შეჭამადი და ხორცი ხომ იშვიათი სანუკვარი იყო მის სახლში...

არა ნაკლებ უბრალო იყო თვითონ საზოგადო და
მოქალაქობრივი ყოფა-ცხოვრება ხიზანთა. საერო საკა-ბასი
და ბჭობა, აი, მათი ერთად-ერთი სამართალი და კანონი. და
კაი მას, ვინც მათ საზოგადო დადგენილებას გადუდგებოდა!
ზარმაცი კაცი საზოგადო მრისხანებას და შეურაცხებას ეძლეოდა
და ხანდისხან არც ცემა-ტეხვას აკლებდნენ. უფრო ძალიმე დანაშა-

ულობისთვის-კი დამნაშავეს მოელოდა საშინელი საერო განსა-მართლება, რომელსაც „ლინჩი“ ეწოდებოდა. თუ სოფლის არე-მარეში ამოჩნდებოდა საქონლის ქურდი, ან უქმად მოხეტიალე,—დაუფიქრებლივ შეიკრიბებოდნენ უფროსი ხიზნები და გადასწყვეტავდნენ სასჯელს, რომელსაც უნდა ვისრეგმოდა დამნაშავე. შემდეგ, ჩვეულებრივ ღამით, ხიზნები შესხდებოდნენ ცხენებზე, მოსასხავდნენ დამნაშავეს და მოსთხოვდნენ ვასუხს. ბრალდებული თუ ვერ იმართლებდა თავს, განაჩენი იმ საათშივე მოჰყავდათ სისრულეში: მიაბამდნენ ხეზე და სცემდნენ მათრახით სისხლის დენამდე.

ამ სიმკაცრესთან ერთად ამერიკელი ხიზანი იყო განმსჯავლული შესანიშნავად მტკიცე და შეურყეველის სარწმუნოებით: მას ჰსწამდა ღმერთი, როგორც უმანკო ერმას, წრფელის გულით და სულით. უფრო სშირად დაბადება (წიგნი ქვეყნის შექმნაზე) იყო ერთად-ერთი წიგნი მის სახლში, მითი ასწავლიდა დედა კითხვას თავის შვილებს. სამლვდელო ვირის წვევა იყო ღირს-შესანიშნავი შემთხვევა ხიზნის ცხოვრებაში, და იუქმებოდა როგორც განსაკუთრებული დღეობა. მეზობლები, რამდენიმე ვერსის დაშორებით მცხოვრებნი, დაუფიქრებლივ მიაშურებდნენ იმ გაბედნიერებულ ოჯახს, სადაც ესტუმრებოდა მწირი მქადაგებელი, რომელიც იმავე დროს სამგურნალო რჩევასაც აძლევდა ხიზნებს. იგივე ნათლავდა ბავშვებს, ხანდახან ათ-ათის წლისას, და იქვე, ღია ცის ქვეშ, აზიარებდა მორწმუნეთ.

ასე მიმდინარეობდა ალალ-მართალი და მკაცრი ცხოვრების ბუნების შვილთა. ასეთი იყო ის ოჯახიც, საიდანაც გამოვიდა ამ-რამ ლინკოლნი, ჩრდილო-ამერიკის სახელ-განთქმული მამული-

შვილი, რომელიც გახდა ერის სსოვნაში ვაშინგტონის თანატოლი. ამ ოჯახში განუშორებლად სუფევდა მტკიცე სარწმუნოება, ზნეობითი სიწმინდე და დაუშრეტელი სიყვარული მუდმივი, დაუცხრომელი შრომისადმი.

## სიყმაწვილის ხანა ებესი.



ოთხრობის დასაწყისში ჩვენ ვსედავთ ლინკოლნის სახლობას უკვე გამგაზავრებულს ქენთუქიდან. ოჯახის წევრთა რიცხვის თანდათან მომატებამ და ცხოვრებისთვის საკმაო სარჩოს უშოვნელობამ დააფიქრებინეს თომა ლინკოლნს ეს შტატი, სამშობლო მისი შვილის აბრაამისა, რომელიც დაიბადა 12 თებერვალს 1809 წელსა, მახლობლად ქალაქ გოჯენვილისა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ მოეწყვნენ ხიზნები თავის ახალ სამშობლოში—ინდიანში და როგორი მძიმე დასაკლისი გამოსცადეს მათ მალე იქ მისვლის შემდეგ.

დედის სიკვდილს ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა პატარა ებეზე. ის შეიქმნა უფრო დაკრძალული და დაგვირგებული უკეთესში. დაწვრილებით, უმეტ-ნაკლებად გაიხსენა მან ყოველი სიტყვა, ყოველი დარიგება ძვირფასი მიცვალებულისა და დიდის გულ-მოდგინებით სცდილობდა მათს ასრულებას. მამამ არ იცოდა, როგორ გამოეთქვა ქება თავისი მორჩილი ერთგული ვაჟისა, რომელიც მცირე წლოვანების მიუხედავად საუკეთესო თანაშემწე იყო ყოველს მის სამუშაოში.

მიყრუებულს და უშენ ადგილზე, სადაც ცხოვრებდა ოჯახობა ლინკოლნისა, არ იყო იმ დროებში არც ერთი სკოლა. ამიტომ ბავშვი იძულებული იყო თვითონ განეგრძო სწავლა, რომელიც მხოლოდ დაბადების კითხვაში მდგომარეობდა, რადგან სხვა წიგნები ხიზნებს არ გააჩნდათ. ებეს სანატრელი ოცნება ბირველ ხანებში მხოლოდ ის იყო, რომ თავის დროზე ისეთივე განვითარებული გამხდარიყო, როგორიც მისი განსვენებული დედა იყო, რომელიც ხშირად ხმა-მაღლა უკითხავდა და უხსნიდა შვილებს სამართო წერილს.

ერთხელ, საღამოზე, თორმა ლინკოლნმა მოიტანა სახლში რაღაც ბოხჩა და ღიმილით გადასცა თავის ცნობის-მოყვარე შვილს. ბავშვმა დაუყოვნებლივ გახსნა ბოხჩა და ხმა-მაღლა შეწუვირა სიხარულით. ბოხჩაში აღმოჩნდა ბაწიანწიგნი, თუმცა ძველი და დაკონკილი, მაგრამ მისთვის მეტად სანატრელი. ეს იყო „მოგზაურობა პილიგრიმისა“ (წმინდა ადგილების მლოცავისა), თხუზულება ჯონ ბენიანისა.*) ები მაშინვე მიუჯდა წიგნს და დაიწყო კითხვა.

თხუზულება ჯონ ბენიანისა შეიქნა ბავშვისთვის, რომელიც აქამდის მხოლოდ დაბადებას და კატეხიზმოს კითხულობდა, ახალ დაუშრეტელ წყაროდ მის გონებით გახსნისა და მეცნიერების შემეცნებისა. ები ის იყო, ხელ-მეორედ ემზადებოდა წიგნის წაკითხვას, რომ უცრად ბედმა სხვა წიგნს შეახვედრა: ერთმა მოხუცებულმა მეზობელ დედა-კაცმა მისცა მას წასაკითხად ,,იგავ-არაკნი ეზოპისა''. იგავ-არაკებში დახასიათებული ბირ-

*) ეს წიგნი ითვლება უკეთეს წიგნად ინგლისის კლასიკურს მწერლობაში.

ფტეგები და გონიერული ხუმრობანი, რომელიც აქა-იქ გაფანტული იყო წიგნში,—დიდად ართობდნენ და ახალისებდნენ ებეს. თუ როგორის გულ-დადებით კითხულობდა ის ამ ახალ წიგნს, სხანს იქიდან, რომ წიგნის უმეტესი ნაწილი, თვის-და შეუნიშნავად, სულ ზეპირად დაისწავლა, რაიცა შემდეგში დიდად გამოადგა მას. შედარებითს ნიჭში, ენის სიმახვილეში და განუენებული საგნების სიცხადით დახასიათებაში—ამისთანებში ხომ ძნელად თუ კინმე აღემატებოდა აბრამს. ეს-კი სულ ამ გვარი წიგნების კითხვის ნაყოფი იყო.

ამავე ხანას ეკუთვნის მეორე ღირს-შესანიშნავი შემთხვევა აბრამის ცხოვრებაში: მან შეისწავლა წერა. მასწავლებლად გამოჩნდა კინმე გენქსი, რომელიც მათი ქოხის ახლო ცხოვრებდა და ცოტა-რამ გაეგებოდა წერისა. ეატარა ლინკოლმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა წერაში, რომ მალე თვით მასწავლებელსაც გაუსწრო ამ საჭირო ხელობაში, რომელსაც ეს ამბავი მეტად უგვირდა და სასწაულს აჩემებდა. მელანი და ქაღალდი ღარიბ ხიზნებში ძნელი საშოვარი იყო და მათ ნაცვლად ხშირად თავ დანახშირებულ ჯოხს ხმარობდნენ, რომლითაც ბავში დაუღალავად ჯღაბნიდა ფიცრებზე და თვით მიწაზედაც. სწავლით გატაცებული ები არც საშინაო საქმეებს იკიწუებდა: ის ხშირად გაიდებდა ცულს მხარზე და გასწვდა ტყეში შეშის საჭრელად...

ზის ები ერთხელ ხის-ქვეშ და გამოჭყაკს ჯოხით დიდრონი, ლამაზი ასოები.

— აბრამ! აბრამ! სადა ხარ? აქ რას აკეთებ?—უეცრის დაკითი, ერთი მის ტოლი ბიჭი, შვილი მეზობელი მგბაღისა.

— ვწერ!—თავ-მოწონებით მიუგებს აბრამი.

— მერე, სად ისწავლე წერა და რას სწერდი აქ?

— ჩემს სახელსა და გვარს.

დავითმა იშვიათად შეხედა ამსანაგს: მას არ სჯერდა, რომ მის ტოლს შეეძლო ის ხელოვნება სცოდნოდა, რომლისაც ბოლს არე-მარეში დიდსაც არა გაეგებოდა-რა. რომ გაემტყუნებია აბრამი თავმომწონე ქებაში, დავითი თვალის დახამხამებაში გაიქცა თავის მამასთან, რომელსაც ცოტა რამ გაეგებოდა წერა-კითხვისა, მოიყვანა ამსანაგთან და სთხოვა მამას წაეკითხა, რაც პატარა აბრამს დაეწერა.

— ა-ბ-რ-ა-მ ლ-ი-ნ-კ-ო-ლ-ნ-ი,—თქვა ბოლოს ბოლოს ბიჭმა ბოლოს ბოლოს ბოლოს ბ-ბ-ბ-

— მიიღეთ თქვენ ჩემი წერილი?

— შენი წერილი, ე. ი. მამიშვილის წერილი, ჩემო შვილო? — გამოჰკითხა მღვდელმა.

— არა, ჩემი წერილი: მამამ არ იცის წერა.

— თუ ის წერილი მართლა შენია, ნუ გრცხვენია, ძალიან რიგიანათაა დაწერილი, — უთხრა მღვდელმა, რომელიც ბავშვს ალერსიანად თავზე ხელს უსვამდა.

ებეს წიგნთ-საცავს მალე შეეძინა კიდევ ერთი თხზულება — „ვაშინგტონის ცხოვრების აღწერა“.

ებეს ეპეპა იყო თანა-მედროვე ამ დიდებული კაცისა, თვითონაც ხშირად უამბნია მის წინამძღოლობით და ისე სხვა არაფერზე ესაუბრებოდა ლაპარაკი, როგორც სასელგანთქმულს ამერიკის განმათავისუფლებელზე, რომლის ხსენებაც წმინდად იყო დაცული ლინკოლნების ოჯახში. მთაბეჭდილება, გამოტანილი ბავშვის-მიერ ამ საერო გმირის ცხოვრების აღწერის კითხვიდან, ღრმად ჩაენერგა მის ასაკ-გაზდა სულს და გულს.

გაიარა კიდე რამდენიმე თვემ. ებეს ცხოვრებაში მოხდა შესანიშნავი ამბავი. მამამ მოუნახა მას მეორე დედა, ქვრივი საალლი ჯონსტონი. ეს ღირსი დედა-კაცი ტკბილად მოეპყრა გერს და დიდის უურადღებით მიჰყო სელი მის აღზრდას. მათი ქოხის ახლო იმ დროებში გაიხსნა კერძო სკოლა, და დედინაცვალმა აბრამი დაუყოვნებლივ მიაბარა სკოლაში. აქ აბრამი აღმოჩნდა სამაგალითო მოწაფედ და კითხვაში, წერაში და არითმეტიკაში მალე გაუსწრო ყველა ამხანაგებს, თუმცა გული უწინდებურად ისევ კეთილი და ალერსიანი დაურჩა. ამხანაგებს

ძალიან უყვარდათ ები და წყნარი, მშვიდობიანი ხასიათისათვის დაარქვეს მას „მშვიდობის მყოფელი“.

დედი-ნაცვალმა, რომელმაც ასე კარგად მიიჩნია ებე, უყიდა მას ახალი თავგასართობი წიგნი „ცხოვრება ჰენრი კლეისა“, — ცნობილის მჭევრ-მეტყველისა და საზოგადო მოღვაწისა, რომელიც დიდად სახელ-განთქმული იყო იმ დროს. ამ წიგნს, რომელმაც მეტად გაართო უმაწვილი, ჰქონდა მისთვის დიდი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ გაეცნო ის სამშობლო სახელმწიფოს წესწყობილებას და იმ კითხვებს, რომელნიც იმ დროებში აღელვებდნენ მის თანამოჭალაქეებს, რომელთა ბედ ილბლის გადაწყვეტაში ებმა ბოლოს დროს ზირველი ადგილი დაიჭირა.

ძალიან მოასწრო ბავშმა გადაკითხვა ამ წიგნისა, როცა მას შეემთხვა ისეთი გარემოება, რომელიც უტყუარ საბუთს გვაძლევს ჩვენ მის ცნობის მოუვარეობაზე და იმ განუსაზღვრელ პატიოსნებაზე, რომელიც იყო ქვა-კუთხედი მისი ხასიათისა, რის-გამოც უწოდეს მას „პატიოსანი ლინკოლნი“.

ერთხელ აბრამმა შეიტყო ამხანაგისგან, რომ მის მასწავლებელს, კრაუფორდს, აქვს კაშინგტონის ცხოვრების კრებული აღწერა, ბევრად უკეთესი იმაზე, რომელიც უკვე წაკითხული ჰქონდა მას. მოინდომა მან ეშოვა ეს წიგნი, რათა უნდა დასჯდომოდა. წავიდა მასწავლებელთან და სთხოვა წიგნი. მასწავლებელმა თხოვნა დიდის სიამოვნებით აუსრულა და დაუმატა: „ნუ აჩქარდები, რამდენიც გინდა იკითხო.“

აღტაცებულმა აბრამმა წამოიღო სახლში ეს საუნჯე და ნიადაგ თან ატარებდა მას. თვით მუშაობის დროსაც-კი არ

იშორებდა საყვარელ წიგნს. ერთხელ ებემ ეს წიგნი ხის ფუ-ლურაში შეინახა, აქ ახლო მექნებაო, ეგონა, რომ მან საუკეთესო და საიმედო ადგილი მოუნახა თავის ძვირფას საუნჯეს, მაგრამ, როგორი თავზარი დაეცა, როცა, შემდეგ ძლიერი შხაპუნა წვიმისა, ნახა, რომ წიგნი სულ დასველებულიყო!? ებემ ბევრი იტირა, მაგრამ ცარიელი ტირილით რას გაუწყობდა? აიღო წიგნი და ფრთხილად გაშალა მზეზე, რომ როგორმე გაეშრო ის; რამდენთაც შეიძლო გაწმინდა, გაასუფთავა და ბოლოს, პირდაპირ მასწავლებელთან წავიდა, რომ გულახდილად გამოსტეხოდა მას ყველაფერში.

მასწავლებელი ძლიერ გაჭკვირდა, რომ ბავშვი ასე მალე გამოეცხადა მას.

მე მოგართვით „ცხოვრება კაშინგტონისა“,—უთხრა ებემ, მოწყენილად და თავ-ჩაღუნვილმა.

— ნუ-თუ უკვე წაიკითხე? აგრე რად აჩქარდი? აკი გითხარი, რამდენი ხანიც გინდა, შეგიძლია იკითხო მეთქი?

— არა, მე ჯერ ბოლომდის არ წამიკითხავს, მაგრამ მე უბედურება შემემთხვა,—და ამ სიტყვებთან ერთად მან გახსნა ბოხჩა, რომელშიაც შეხვეული ჰქონდა დაზიანებული წიგნი.

მასწავლებელს დაღვრემილი ბავშვი უფრო მეტად შეებრალა, კინემ წიგნი.

— მე შემიძლია დაგიბრუნოთ თქვენ ახალი წიგნი, უფალო მასწავლებელო,—სთქვა ებემ.—მართალია, ფული არა მაქვს, მაგრამ შემიძლია კიმუშაო. მომეცით რამე სამუშაო.

— სამუშაოს-კი გიშოვი. აგე იქ ბურს მკიან. გინდა მოეხმარო მომკალთა?

— სიამოვნებით, როდის დაგიწყო?

— თუნდა სვალეკე. მაშინ ეგ წიგნი შენი იქნება, რადგან მას პატიოსანის შრომით შეიძენ.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, ებე ყანაში იყო და ისე ერთგულად მუშაობდა, რომ ოფლი წურწურით გადმოსდიოდა.

საღამოს, დაღლილი, მაგრამ სრულებით კმაყოფილი, დაბრუნდა ები მშობლების სასლში და კიდევ თავისი შრომისა თან წამოიღო.

## ებე მეტივეა.

ორო მიდიოდა და მას თან გაჰყვა ბავშობის სანატ აბრამისა, რომელიც ასლა უკვე თვრამეტი წლის ლონიერი და კარგ-საღი ჭაბუკი შეიქნა. ის ასლა მამაზე მაღალი და ლონიერიც იყო. ხელები მას უფრო დაკორძებული და დაბებრებული ჰქონდა ბეკრი მუშაობისაგან, კიდრე თითონ მის მამას. მთელს მიდამოდგილებში გაითქვა მისი სახელი, როგორც ჩინებული და ლონიერი მუშაკისა. ამიტომ, სადაც-კი საძმიმო საქმეს შეუდგებოდნენ, უთუოდ ახალგაზდა ლინკოლნსაც მიიწვევდნენ სოლმე დასახმარებლად და ყოველთვის ბოულობდნენ მასში გამგონესა და დაუზარებელ მუშას.

არც სწავლის სურვილი ჰქრებოდა მასში. მოჰკრავდა თუ არა ყურს რომელიმე ახალი წიგნის ამბავს, ის მაშინვე ცდილობდა ეშოვა და წაეკითხა; თავის ძველ წიგნებსაც აგრეთვე ნიადაგ კითხულობდა ხელ-ახლა. მის ღარიბ წიგნთ-სა-

ცავს მიემატა კიდევ „ცხოვრება ფრანკლინისა“ ⁄ წიგნი „პლუტარხისა“, თარგმნილი ინგლისურად. ახლა მთელს მის სამწიგნობრო სიმდიდრეს შეადგენდნენ: დაბადება, კათეხიზმო, იგავ-არაკნი ეზოპისა, „მოგზაურობა პილიგრიმისა“, ორი წიგნი „ვაშინგტონის ცხოვრების აღწერისა“, „ცხოვრების აღწერა ჰენრი კლეისა“ და „პლუტარხი“.

არც წერისთვის დაუნებებია თავი აბრამს. ეკვლა მეზობლები, რომელთაც-კი სჭირდებოდათ რაიმე მიწერ-მოწერა შორეულ ნაცნობებთან და ნათესავებთან, მას მიჰმართავდნენ ხოლმე. ებე შეიქნა მთელი არე-მარის მესაიდუმლედ, მღიერად, და ისწავლა ამ გარემოების შემწეობით შეთვისება სხვისი სულის მოძრაობისა და მისი გამოთქმა-დახასიათება ბეჯითად და ნათლად.

ახალგაზდა ლინკოლნს მალე უფრო ფართო გზა გაეხსნა მოქმედებისა. ერთი მისი მეზობელთაგანი, მისტერ ჰიტტი გზავნიდა მდინარე მისისიპით ხე-ტყის დიდ ტივს ქ. ახალორლეანში; ჰიტმა მისცა ახალგაზდა ებეს წინადადება გაჰყოლოდა ამის ტივს. ებე დათანხმდა და დღემდის უბრალო მეშეშე ახლა გახდა მეტივედ.

რკინის გზები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო. წალებ-წამოღება საქონლისა სრულდებოდა გემების და ტივების საშუალებით. მეტივე მენავენი კარგა ბლომა ფულს იღებდნენ, მაგრამ ამას მუქთად არ შოულობდნენ ისინი. ტარება გემებისა და ტივებისა მდინარის დაღმა კიდევ ადვილი საქმე იყო, მაგრამ ჰირ-შელმა ტარება-კი გემისა თუ ტივისა სულ სხვა საქმეა: აქ ხმარობენ საჭეებს (წყლის მოსასმელ ნიჩბებს)

და მათი საშუალებით არღვევენ მომდინარე წყალს და ერთი ვაი-ვაგლახით ნელ-ნელა მიცურავენ წინ.

მოგზაურობა ებესი და მისი ამხანაგის ჯონისა ვერ ასცდა ხიფათებს. ცა ოკეანეთვის არ იყო ნათელი და უღრუბლო. მდინარის ზვირთები ხშირად ეთამაშებოდნენ მათ და უქადნენ დაფშვნა-დალეწვას; შხაპუნა წვიმები ისე საშინლად ასველებდა მათ, რომ სიცივე და სიხოტივე შიგ ძვლებში ატანდა მგზავრებს. სხვა-გვარ განსაცდელშიაც ჩაცვივდნენ ისინი:

როგორღაც ერთხელ, საღამოზე, ამხანაგებმა გააჩერეს ტივი მდინარის ნაპირად და მიწვნენ შესასვენებლად. შუაღამე იქნებოდა, როცა აბრამი გამოაღვიძა უცნაურმა ხმაურობამ.

— რა ამბავია მანდ? — დაიყვირა აბრამმა და გააღვიძა ჯონი.

ჯონმა თვალები მოიფშვნიტა და უთხრა:

— ზანგები.

— ვინ სარ მანდ?

პასუხი არ იყო. ცოტა ხნის შემდეგ მეტივეებმა დაინახეს თავის წინ ოთხი შავ-კანიანი სახე, რომელნიც მთვარის შუქზე უფრო საშიშრად მოჩანდნენ, და გაიგეს მათთვის კარგად ნაცნობი ზანგური ენა.

ებე და ჯონი მიხვდნენ, რა განზრახვითაც მობრძანდნენ ეს ბატონები და მოემზადნენ საბრძოლველად; თოფდამბაჩა ამათ არ გააჩნდათ, ასე რომ მხოლოდ თავიანთი ღონიერი მარჯვენის იმედით უნდა ეოფილიყვნენ. ერთი ზანგანი უკვე შეხტა ტივის ნაპირზე, აზიდა მაღლა უშველებელი ბეტი და ღონივრად მოუქნია ჯონს. ებემ ერთის თვალის დახამხამებაზე გამოსტაცა ზანგს ბეტი, სტაცა თვით მას კისერში ხელი და გადუძახა ღრმა მდინარეში.

გაისმა შხაპუნი წყალში... მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა...

დანარჩენ სამ ზანგს თავს ზარი დაეცათ ასეთის მოულოდნელის ამბით და ვერაფერი მოახერხეს დაღუპული ამხანაგის საშველად. ძალზე ნაცემთ ამათაც მალე ზურგი უჩვენეს ახალგაზდა ჭერუულესებს და გაიქცნენ. მაგრამ არც ებე გადარჩა უზიანოდ: მარჯვენა ხელი ძალიან დაუზიანდა მას ჯეტის დარტყმისაგან, ხოლო მარჯვენა თვალი ძლივს გადირჩინა დანის ჩაკვრისაგან შიგ თვალში. ახალგაზდა ბიჭების ალბალად, სწორედ ამ დროს ჩამოიარა ორთქლით მატარებელმა გემმა და ამათაც აუშვეს-რა თავისი ტივი, შორი-ახლო მიჰყვნენ მას. ამის შემდეგ ახალგაზდა მეტივენი მშვიდობიანად ჩავიდნენ ქ. ახალ-ორლეანში.

სხვა და სხვა თავ-გასართობმა განცხრომამ ამ ვეებართელა ქალაქისამ ვერ შეაჩერა ახალ-გაზდა ბიჭები იმაზე მეტ ხანს, რასაც თხოულობდა თვით საქმე მათი აღისა და ამიტომ, საკუსებით ჩაბარეს ხე-ტყე გისიც ჯერ იყო თუ არა, იმ წამსვე უკან დაბრუნდნენ. აქ სამშობლო ტყეებში, აბრამი და ჯონი ხშირად გაიხსენებდნენ ხოლმე თავიანთ გაბედულს მოგზაურობას მდინარე მისისიპზე და იმ ოთხ ზანგთან უსწორო ბრძოლას, რომელმაც უფრო დაახლოვა ეს ორი ახალგაზდა ერთმანეთს. ამბავი იმაზე, რომ ახალგაზდა მეტივეებმა უნაკლულოდ და გონიერულად შეასრულეს დავალებული საქმე, სწრაფად გავრცელდა მიდამო ადგილებში და მით დაუმსახურეს პატივისცემა ყველა მეზობლისა.

---

## ინდიანიდან ილინოისში.



ერ დასტალდა თომა ლინკოლნს ინდიანში დაესრულებია თავისი გაჯანსაღებული სიტოტხლე. იმ გარემოებამ, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სისწრაფით შენდებოდა ხალხი, რომელმაც დაიჭირა ინდიანიც, და აგრეთვე დაუძლეველმა სურვილმა მოგზაურობისამ, ძალა-უნებურად მიიქცია ხიზნების ყურადღება მახლობელმა შტატმა ილინოისმა, რომლის არა ჩვეულებრივ ნაყოფიერებაზე ხიზნებს გულის მოსახიბლავი ამბები ესმოდათ. ამიტომ, მიუხედავად ღრმა მოხუცებისა, თომა ლინკოლნმა გადასწყვიტა მიტოვება მეორე სამშობლოსი და გადასახლდა დასავლეთისკენ, ილინოისის შტატებში, სადაც, მონადირეების სიტყვით, „რძე და თაფლი ამოსჩქეფდა დედამიწიდან“.

მარტში 1830 წელს გაუდგა გზას მთელი ოჯახობა ლინკოლნისა. აბრამს შეუსრულდა იმ დროს 21 წელი. როგორც სრულ-წლოვანს, მას სრული უფლება ჰქონდა გასტლოდა ოჯახს და დედის საფლავის ბინაზე დარჩომილიყო, მაგრამ, როგორც მორჩილმა შვილმა, ამჯობინა გაყოლა მოხუცი მამისა, რომ მოხმარებოდა მას ახალ ადგილზე დასახლების დროს. მოგზაურობამ ორი კვირა გასტანა და, აი, ჩვენი მოგზაურები ილინოისის შტატში გაჩერდნენ. სამოსახლო ადგილი გამოირჩიეს დეკატურის მახლობლად, სანგამონის მდინარის ჩრდი-

ლო ნაპირზე. ებეს შემწეობით მოხუცებულმა თომამ ააშენა ძელური ქოხი, და ამის შემდეგ ხიზნები შეუდგნენ ღობის შემოკლებას იმ ადგილების გარშემო, რომელნიც მათ დაისაკუთრეს და რომლის ნაყოფიერება, მართლაც, აღემატებოდა ყოველ მათს მოლოდინს. ეს მუშაობა უმთავრეს ნაწილად აბრამს დააწვა კისერზე და მანაც ჩინებულად შეასრულა იგი. საკვირველის სისწრაფით დაამზადა მან აუარებელი მარგილი და ათ დესეტინა მიწას მშვენიერი ღობე შემოაკლო.

პირველი ზამთარი, გატარებული ხიზნების-მიერ ილინოისში, იყო მეტად სასტიკი; ამათ უწოდეს მას „ღრმა თოვლიანი ზამთარი“, რადგანაც მთელი ილინიოსის კაკე სრული სამი თვე შესუდრული იყო სუეტაკი თოვლით. ამ საარაკო სიცივეებს მოჰყვა თან საზარდოს ნაკლებობა. მიუხედავად ქარ-ბუქებისა და ყინვებისა, ებეს უნდა ეკლო სანადირო და ეშოვა ნადირის ხორცი. ის სრულებითაც არ იყო კარგი მსროლელი, მაგრამ სიყვარულმა მშობლოთადმი — ამ განსაკუთრებულმა თვისებამ ლინკოლნის ხასიათისამ, — ასწავლა მას ასრულება მისთვის უჩვეული საქმისაც თავ-დადებით და სრულის წარმატებით.

თომა ლინკოლნმა მაგრად მოიკიდა ფეხი ახალ ადგილზე, ხოლო აბრამში გაიღვიძა გრძნობამ, რომელიც თანასდევს ყოველს ამერიკელს — დამდგარიყო თავის საკუთარ დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე. მან გადასწყვიტა მიტოვება სამშობლო ქოხისა, და ყოველი განსაზღვრული აზრის გარეშე, უფულოდ და მხოლოდ ხასიათის მტკიცე ძალით, შეურყეველი პატიოსნებით და უცვალებელი განზრახვით, რომ უნდა გაეხსნა თავისთვის გზა, — გამოდგა ფეხი გარეთ.

სულ პირველად მან მიაშურა პიტსბურღის ქალაქის ახლო-მახლო სოფლებს და იწყო მუშაობა, სადაც რა მოხვდებოდა ხელში. აქაც, როგორც წინედ სამშობლოში, მან შეაყვარა თავი ყველას, კისთანაც-კი შესვდებოდა რაიმე საქმე. აქ მან გაიცნო კინმე არმსტრონგის ოჯახი, რომელმაც მიიჩნია ის, როგორც საკუთარი შვილი. ზამთრის გრძელ საღამოებს მთელი ოჯახობა ჩვეულებრივ ბუხრის წინ ატარებდა: მოხუცი არმსტრონგი ითბობდა თავის მჭკნარ ხელებს, მისი ცოლი, თეიქრისაგან გატაცებული, უმზერდა ცეცხლის ალს, სოლო აბრამი იკვდა სულ-განაბული და კითხულობდა რომელსამე წიგნს, გამოღებულს მოხუცი არმსტრონგების, ან, როგორც თითონ ის ეძახოდა მათ, თავის „ალმზრდელების“ ძველი წიგნთ-საცავიდამ. აბრამის ტანისამოსი იმ დროს, მართალია, ძალიან გაცვეთილი იყო, მაგრამ ის არ აქცევდა ამას არავითარ ყურადღებას. ჭმონდა მას სამუშაო და წიგნები და ისიც სრულებით კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით პიტსბურღში.

მოვიდა გაზაფხული და აბრამს ხელ-ახლად მისცეს წინადადება გაჭყოლოდა ტიკს ახალ-ორლეანში. მწუხარებით და გულწრფელი მადლობით გამოეთხოვა აბრამი თავის კეთილ „ალმზრდელებს“ და გაემგზავრა სამხრეთისკენ. სამხრეთის დედა-ქალაქმა, ახალ-ორლეანმა, ახლა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დავაყვაცებულ ახალგაზდა ლინკოლნზე.

ქალაქში მძვინვარებდა სასტიკი ხოლერა, რომელსაც უფრო „ყვითელ ციებას“ ეძახიან. საავათმყოფოებში ტევა ადარ იყო, ისე მრავლად იყვნენ ავადმყოფნი. მკვდრები დაუმარხავად ეყარნენ ქუჩებში. ყველა, კისაც შეეძლო, გარბოდა შორს სენით მოცულ ქალაქიდგან.

მაგრამ, აბრამი ამას არ შეუშინდა და იმ დროამდე დარჩა ქალაქში, სანამ საკსებით არ შეასრულა ყოველი მისდამი მინდობილი საქმე. ტიკის პატრონმა უხვად დააჯილდოვა აბრამი ამ გვარი თავდადებული გარჯისათვის და გადაწყვიტა აღარ გაეშვა თავისი ხელიდან ჭკვიანი და პატიოსანი ახალგაზდა, რისთვისაც მისცა მას თანაშემწის ადგილი ქალაქ ნიუ-სალემის მაღაზიაში. აბრამმა სიხარულით მიიღო ეს ახალი თანამდებობა და ამ გვარად მეტიკე გახდა კაჭრად. აქაც მალე გაითქვა სახელი ნიჭიერმა ახალგაზდამ: ყველა იმ დუქანში უფრო შედიოდა, სადაც კაჭრობდა თავაზიანი ლინკოლნი. მისი პატიოსნება საანდაზოთ გადიქცა მთელს იმ პატარა ქალაქში.

მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენ ვეღარა ვხედავთ ლინკოლნს დუქანში. მას ჰსწყურდა სხვა ცხოვრება, სხვა, უფრო საინტერესო მოღვაწეობა; დროთა ვითარების სასიამოვნო ცვლილებამ შეუწყო მას ხელი აეშორებია თავიდან გულის მოსაწყენი საწონ-სასწორები, მთელი გრეგა საანგარიშო დავთრებისა და გაუხსნა მას ახალი ფართო გზა.

## ებრაამ ლინკოლნი-მხედარი, მიწის-მზომელი და იურისტი.

როგორც ცნობილია, ამერიკის პირველ-მოსახლენი ინ
მგიდრნი, იუნენ ინდიელები. ფართოდ და არხეინ
ცხოვრებდნენ ისინი ყოველ-გვარი ნადირით მდი
დარ, თავლ-უწვდენ კაკვებსა და ტყეებს შორის დ
ღრმა, თეკზით სავსე მდინარეების მიდამო ჭალებში. წვეტ
მახვილიანი ისარი, მშვილდი, დაძღეული მტრის თავის გასა
ტეკვებელი დანა და მოკლე ღერიანი ჩიბუხი და თუთუნი — ა
მთლად ის ნივთები, რაც აუცილებლად ესაჭიროება ინდიელს მი
უფერულ, მაგრამ მისთვის სრულებით კმაყოფილ ცხოვრებაში
შესანიშნავი მხედველობა, საუცხოოდ გახსნილი სმენა, რაც
უცნაური გრძნება (ალღო) ჰქონდენ მას მონადირედ თითქმი
ბალღობიდამვე. ბინადრობით ცხოვრებას ის კერ ეწყობოდ
კარავი მისი, ეიგვამი, რომელშიაც ხელ-აუღებლად შრომობდ
მისი შავ-კანიანი სეევიუ (ე. ი. ცოლი), ერთად ერთი მეუერ
ყოველივე შინაურ საქმეებისა, მას ყოველ დროს შეეძლო გ
დაეტანა თავისი თავშესაფარი ერთი ადგილიდან მეორეზე. ერ
თი რამ იყო მისთვის აუცილებლად საჭირო: ფართო, უსაზ
ზღვრო ხალეათობა. იქ, სადაც ერთმანეთზე ახლო ცხო
ვრობენ, სადაც ბევრი ხალხია, წითელ-კანიანი ინდიელი იხუთებ
როგორც გალიაში ჩასმული თავის-ნება გარეული ფრინველ
როგორც თეკზი, ამოყვანილი წყლიდან...

და, აი, სწორეთ იმ მხარეს, რომელიც ინდიელს მხოლოდ თავის საკუთრებად მიაჩნდა, მისთვის სრულიად უცნობი „თეთრი“ კაცი გამოჩნდა. მას ის პირველში რაღაც ღვთაებად ეჩვენა, ჭუხილისა და ელვის გამჩენად, რადგანაც თოფის სროლა, რომელიც მათ არასოდეს არ ენახათ, პირველად ჭექა-ქუხილად მოეჩვენათ, რისგამოც თავზარ-დაცემულნი განუგიოსველად გაურბოდნენ მას შორს დასავლეთისაკენ და სტოკებდენ ახლად მოსულების სელში მდიდარს ნაპირებს ატლანტიკის ოკეანისას. ასე და ამ გვარად, ახლად მისული ევროპიელები დაბინავდნენ ინდიელების მიწა-წყალზე, გაუშენეს მრავალი დიდ-ხალხიანი სოფლები, და იწყეს სარგებლობა იქაური დიდებული ბუნების უსვი სიმდიდრით. რიცხვი ახალ-მოსულებისა იზრდებოდა, როგორც ამბობს ინდიის ერთი ტომის წინამძღოლი, კით ბალახი გაზაფხულზე; ესენი შესანიშნავის სისწრაფით მოედვნენ ინდიელების მუდრო სამშობლოს და წინ გაირეკეს, დაათრთხეს, თუმცა ველური, მაგრამ შესანიშნავად გამბედავი ხალხი. მწუსარებით უმზერდნენ ინდიელნი, როგორ იმსობა უცხო ტომთა ცულის კვეთებით მათი მამა-პაპეული ტყეები, როგორ იხვნება მათი, დღემდინ სელ-უსლები მინდვრები, და შველა-კი არ შეეძლოთ. „თეთრებმა“ მოუხშირეს შეკიწროება თვით ინდიელებსაც. საბრალოებს ართმევდნენ მიწას და მის მაგიერად კი არათერს აძლევდნენ მათ. ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ წითელ-კანიანებმა საშინლად შეიძულეს „თეთრები“. პირდაპირ გაწიათ წინააღმდეგობა მოსულებისათვის მათ არ შეეძლოთ: ამას უშლიდა უქონლობა კარგი იარაღისა, და თვით დაცალკევებაც ინდიელთა, დაყოფილთა მრავალ ტომებად, რომელნიც ჭმტრობდენ ერთმანეთს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წითელ-კანიანებმა მაინც

დაიწყეს ზედი-ზედ თავ-დასხმა ევროპიელთ სოფლებზე. საშინელი იყო ეს თავ-დასხმა: ველურნი უწყალოდ ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც-კი ჩაუვარდებოდათ ხელში, სისხლის ღვარს, დამახინჯებულ და დატყვევებულ სხეულთა გროვას სტოვებდნენ ისინი თავის უკან. ბევრი, ბევრი ხიზანი დაიღუპა გაჯახირებულის სიკვდილით ახალ თავის სამშობლოში, სანამ დამშვიდებოდნენ ინდიელები! ეს დამშვიდება-კი მოხდა არა რაიმე განსხვავებული გამარჯვების-გამო ევროპიელთა წითელ-კანიანებზე, არამედ უმეტეს ნაწილად იმიტომ, რომ წითელ-კანიანებმა ვერ შესძლეს ბრძოლა სწავლა-განათლებით შემოსილ ახალ-მოსულებთან და იწყეს სწრაფად გადაშენება: ტომი მათი ქრება, დნება, ვითარცა ზაფხულის თოვლი მთის წვერებზე. ხუთი მილიონიდან, რასაც დაახლოვებით ეთანასწორებოდა რიცხვი წითელ-კანიანებისა კოლუმბის-მიერ 1492 წ. ამერიკის აღმოჩენის დროს, ახლა ისინი დარჩნენ არა უმეტეს 500 ათასისა.

1830 წელში ბრძოლა ხიზანთა წითელ-კანიანებთან ჯერ კიდევ სასტიკი იყო. ინდიანის ერთი ძლიერი ტომის წინამძღოლმა, ცნობილმა სახელ-წოდებით „შავმა ქორმა", გამოსცა ბრძანება, რომელიც სიტყვა-სიტყვით სწრაფად გავრცელდა ყველა ინდიელებში.

„ტრეპპერი" (თეთრი),—იყო ნათქვამი ბრძანებაში—„მოვიდა ჩვენთან საბრძოლველად მდინარე მისისიპით; იგი ესვრის თოფს წითელ კაცს და მის ცოლ-შვილს ისე, როგორც ველის მგლებს, ჩვენი ქოხები მთლად გადაგვიწვეს; საქონელი და პირუტყვი დაგვტაცეს. ძმებო! მე მივდივარ ფერმიხდილებზე (ე. ი. თეთრებზე) და მოგიწვევთ თქვენც დიდპატარიანად მაგიერი გადაუსადოთ ჩვენ მტრებს!.."

,,შავი ქორის", თავ-გამოდებულ მოწოდებას ხმა მისცა თითქმის ინდიელთა ყველა ტომმა. ინდიელებმა მიჭყვეს ხელი თავიანთ ცულ-ნაჯახებს და სულ მცირე ხანში თავს-ზარი დასცეს ახალ-მოსულებს. ბრაზ-მორეული ინდიელები თავს ესხმოდნენ ხიზნებს, აოხრებდნენ მათს ყანებს, სწვავდნენ და ანადგურებდნენ ღობეებს, იტაცებდნენ საქონელს და, ისრითა და ყარაბინით ხელ-შეიარაღებულნი, უწყალოდ ჭსდევნიდნენ თეთრებს. მთავრობა იძულებული შეიქმნა მიეღო სასტიკი ღონის-ძიება ამბოხების მოსასპობად და გაგზავნა მათ წინააღმდეგ ჯარები, შემდგარი უმეტეს ნაწილად თვით-მსურველთაგან. უკანასკნელთა რიცხვში იყო აბრაამ ლინკოლნიც, რომელმაც ჯარიანობის პირველსავე დაძახებაზე, მიატოვა სასწორი და საანგარიშო ჩოთქი, და შევიდა ჯარში უბრალო ჯარის კაცად. აი, რას სწერს იმაზე ერთი მისი რაზმის ამხანაგთაგანი: ლინკოლნი უცბად შეიქნმა ჯარის საყოველთაო განსაკუთრებულ საუკარლად და მალე დაინიშნა კაპიტნად, ე. ი. მხედართა ცალკე რაზმის უფროსად. ეს იყო ნიჭიერი, მარჯვე მხედარი, მკაცრად თვალ-ყურის მადევნებელი თავის ხელ-ქვეითებისა, გულ-მოდგინედ აღმასრულებელი თავის თანამდებობისა, გამხნევებული მამაცობით და სიყვარულით სამშობლოსადმი.

ბრძოლას ინდიელებთან არ ჭქონია თვისება დიდი სამხედრო ომიანობისა. თვით ლინკოლნი ასეთის ხუმრობით მოიხსენიებს მას: მართალია, მთელი ომიანობის განმავლობაში მე არ შემხვედრია ნახვა არც ერთი ცოცხალი მეომარი ინდიელისა, მაგრამ სამაგიეროდ მე გამოვიარე არა მცირე სისხლის დამათხეველი კინკლაობა უკეთურ ბოტო-მკალებთან. თუ გული

არ წამსვლია სისხლის შეუყენებელი დანთხევისაგან, მის ნაცვლად არა ერთხელ ვყოფილვარ სიკვდილზე მიხრწნილი შიმშილისაგან.''

ომი ,,შავ ქორთან'' დიდ ხანს არ გაგრძელებულა: გლახად შეიარაღებული ინდიელები მალე დაამშვიდეს და მსურველთაგან შემდგარი ,,თეთრების'' ჯარი დაითხოვეს. მაგრამ ამ ტოტახნის სამხედრო მოღვაწეობას ძლიერი გავლენა ჰქონდა ლინკოლნის მთელს შემდეგ ცხოვრებაზე. სამხედრო ცხოვრების მეოხებით მეშეშე და მეტიკე ლინკოლნი დიდების თვრთო გზას დაადგა; მან ცხადად დაინახა, რომ ძალა და მნიშვნელობა კაცისა არა მხოლოდ ლონიერს სელებშია და ამიტომ დაუყოვნებლივ შეუდგა ამერიკის კანონების შესწავლას იმ განზრახვით, რომ ოდესმე მსწავლული იურისტი გამხდარიყო ასირებული სანახავი იყო ეს ახალი კანდიტატი სამსაჯულო თანამდებობისა სხვა მდიდარ, სუფთად ჩაცმულ-დასურულ, გაკრიალებულ-გაელვარებულ ამხანაგებთა შორის! ამკარად სჩანდა, რომ ტეის შვილი იყო ეს ღარიბულად ჩაცმულ-დასურული კაცი, თავისებურის ენით მოლაპარაკე, დაბალი და ტოტათი მოთავსდა ყოფა ქრეკვით

ებე იყო უზარ-მაზარი ტანისა და საკმაოდ უშნო აგებულობისა. მისი მსხვილ-ძარღვიანი, გძელი სელ-ფეხი, სჩანდა, ამძიმებდა მას, როცა იდგა ან არას მუშაობდა იგი. სელები, რომელიც ოდესმე აგრე მოსწონდა მას, ვეებართელ ბერკეტებს ჰგავნდნენ, რომელთვის სარგო ხელ-თათმანები ძნელად თუ სადმე იშოვებოდა. კისერი ჰქონდა აგრეთვე ძალიან გრძელი, ხოლო გულ-მკერდი ძალიან ვიწრო. განსხვავებით შესანიშნავი იყო თავი ჩვენი კანდიდატის იურისტისა, მოგრძო, ვიწრო,

შეუფერებლად ხატარა მის გმირულ მოუკანილობასთან შედარებით. თმა ისეთი გრძელი ჰქონდა მას, რომ არავითარ სავარცხელს არ ნებდებოდა. შუბლი უგავდა სალი კლდის ანახეთქს და ახალ-გაზდობაშიკე ჰქონდა დაბრანჭულ-დანაოჭებული საზებით. ხშირ წარბებ ქვეშიდამ გამოსჭვრეტდა ღრმად ჩაფლეგებული თვალები,—და რა თვალები! ნათელი, ნაბერწკლოვანი, მახვილ-ისრიანი და წრფელი. იგინი ხან გაიმკერულად ელვარებდნენ და ხან დაფიქრებულად იმზირებოდნენ სადღაც შორს. სჩანდა, ებეს შეეძლო ჩაეხედა ღრმად უოკელი კაცის სულში, ვისაც-კი დაამზერდა ის ამ თვალებს. მისი არა ჩვეულებრივი დიდი ბირი შეიარაღებული იყო ორ მწყობრად ჩარაზმული, ბოკლსავით თეთრი, კბილებით; ყურები უფრო შეეფერებოდა ის თავზე ერთი-ორად უფრო მეტ თავს. არავითარი ტანისამოსი კარგად არ ადგებოდა ებრამს; აქა-იქ უშნოდ გამოშვერილი მკლები თითქო დასტინოდნენ მგერვალის ხელოვნებას. რაღაც განსაკუთრებული ძალა მოსჩანდა ლინკოლნის მთელს არსებაში;—და არა მარტო ფიზიკური ძალა; საკირო იყო მხოლოდ ეხედვა მის თვისუფლად ღრმა აზრის გამომეტყველ სახეზე, რომ დარწმუნებულიყავით ამ კაცის დიდებულ ზნეობრივ ძალაში. ბირველ შეხედვის დროს ადვილად შეიძლებოდა გაგებით წამოგეძახათ: ,,რა უცნაური ვინმეა!'' მაგრამ, მაიერად საკმაო იყო ცოტა დაახლოებით დაჭვირებოდით ეს, რომ გეთქვათ: ,,ებრაამ ლინკოლნი არა ჩვეულებრივი კაცია! ეს არის გაბედული მეომარი, რომელიც არაოდეს არაფერს არ შეუშინდება და არც არათერის წინ გაჩერდება: იგი ხოლოდ სიცოცხლესთან ერთად უარს ჰყოფს თავის გულიანად რწმენას''...

იურიდიულ საქმეებს ლინკოლნმა მიჰყო ხელი თავისებურის ერთგულობით და გამჭრიახობით, მაგრამ პირველ დროს, სანამ სახელს მოიხვეჭდა, ეს საქმე მას თითქმის არავითარ საშუალებას არ აძლევდა, რისგამოც თავის შეძლებულ ამხანაგებთან—მეგობრებთან და კანდიდატებთან, მას თითქმის რომ გლახის სანახაობა უფრო ჰქონდა. რომ უზრუნველ ეყო ლუკმპური, აბრაამმა დაიწყო ძებნა საქმისა მიწების გამიჯვნათა საქმართველოში. წინედ, მას არასოდეს არ ესწავლა მათემათიკა. მაგრამ ახლა-კი მან თავისებურის თავ-გამოდებით ისე მალე შეისწავლა ეს საგანი, რომ შეეძლო მიეღო თავის თავზე მოვალეობა სახელმწიფო მიწის მზომელისა. ამგვარად ჩვენ ვხედავთ ლინკოლნს თვით იმ თანამდებობაშიაც, რომელსაც ოდესმე მართავდა სახელ-განთქმული მისი წინამოადგილე ვაშინგტონი. ის ანაწილებდა მიწებს ახალ-დასახლებულთა შორის პირველ ბრძანებისათანავე ლინკოლნი გასწევდა ხოლმე თავის იარაღებით დანიშნულს ადგილას, და დაუღალავად ზომავდა და ანაწილებდა მინდვრებს და ტყეებს, მიუსედავად ამინდის ყოვარგიანობისა. ცხადია, რომ ამ გვარ ცხოვრებას ბევრი შესამთხვევარიც მოსდევდა და მისი ცხოვრებაც სავსეა მათი მაგალითად, ლინკოლნს ხშირად შესვდებოდა ხოლმე გასვლაგაშმაგებულ მდინარეებში; ბევრი გრძელი შემოდგომის ღამეებ გაუტარებია მას ტყეში, შხაპუნა წვიმის ქვეშ, სუსხიან ქარ ყინვების დროს. ერთხელ უეცრად მოვარდნილმა მთის ნ ადვარმა მოიტაცა ლინკოლნი, რომელმაც ისდა იღონა, რომ ჩსტაცა წყალზე მოტივტივე რაკს ხელი, მოაჯდა მას ზევ დამ და ამ გვარად გადირჩინა თავი დახრჩობისაგან.

მაგრამ მიწის ზომვის მეტად საძნელო საქმეებმა მაი

გერ დაეცილეს ებრაძი მის ჯეშმარიტ მოწოდებას. მან გულ-მხურვალეთ განაგრძო შესწავლა კანონებისა და შესწყდა თუ არა მუშაობა მიწების გამიჯვნისა, გვლავ დაუბრუნდა სასამართლოს დარბაზს, ახლა უკვე სავსებით მცოდნე და განსწავლული,



## სასამართლოს მოაჯირთან.

ანვლო მას აქეთ ეძვსმა წელმა, რაც ებრაძ ლინგოლნმა მიატოვა სამშობლო ქოხი და იწყო ძვეუნად სიარული. ჯან-საღი ახალგაზდა მეშეშე, რომელიც აგრე ხარბად კითხულობდა ძველ წიგნაკებს მოხუც არმსტრონგების ბუხართან, გახდა ახლა სახელ-განთქმულ ვეძილად და კანონების საუკეთესო მცოდნედ მთელს ილინოისის შტატში. ბევრი ცვლილება მოხდა იმათ ოჯახშიაც, რომლებსაც ლინგოლნი უწოდებდა თავის „ალმ-ზრდელებად“ და რომლებზედაც მას ტკბილი და დაუვიწყარი ხსენება შერჩა ბოლომდის. მოხუცი არმსტრონგი მოკვდა, ხოლო სიცოდავს მის ცოლს დაატყდა თავზე საზარელი უბე-დურება: უფროსი მისი შვილი, ერთად-ერთი იმედი მოხუცი დედაკაცისა, მისცეს სამართალში კიდაცის მკვლელობის-გამო საქმე ასე ყოფილიყო.

ერთი ახალგაზდა კაცი მოჭკლეს ღამით, უცაბედი ჩხუ-

ბის დროს. გამოჩნდა მოწამე, რომელიც დიდის გულ-დაჯერებით ამტკიცებდა, რომ მგვლელი ახალგაზდა არმსტრონგი არისო; რომ მან, მოწმემ, საკუთარი თვალით დაინახა ის ხელმოქნეული სატოდავ მსხვერპლის შემოსაკრავად. ამაზე უფრო დასაბუთებული დანაშაულობა აღარც შეიძლებოდა. მთელი მიდამო მცხოვრები ხალხი აღელვებული იყო ასეთი დანაშაულობით. მოდგნენ და სულ სათითოდ გაიხსენეს ყოველი უმნიშვნელო შემთხვევა დამნაშავის ცხოვრებიდამ; ეს-კი ძნელი არ იყო, რადგანაც ახალგაზდა არმსტრონგი მართლაც ცოტად წინ-დაუხედავი ხასიათისა იყო. გაიხსენეს თვით მისი სკოლური ცელქობა და ჩხუბი, უგელაფერი, უკვე დიდი ხნიდამ დავიწყებული. შეტოდება მისი დაიყენეს თვალ-წინ ბევრად გადაჭარბებულ-გაზვიადებული. და, აი, ყოველივე ამან ერთად-შეკვეცილმა, ჭქნა ის, რომ ყოველად მართალი ახალგაზდა კაცი გამოცხადდა მთელი საზოგადოების წინაშე რაღაც მოურჯულებელ ბოროტ-მოძმედად. დასჯა იმისი აუცილებელი იყო. ადგილობრივი გაზეთები მხოლოდ იმას გაიძახოდნენ, რომ მძიმე სასჯელი მოელისო საეჭვო დამნაშავეს, რომელიც ჩავარდა თუ არა მოულოდნელ-მოუფიქრებლად ასეთ საზარელ მდგომარეობაში, ერთობ დაეცა სულით, დაჭკარგა მხნეობა.

სწორედ ამ დროს, როცა დედა ახალგაზდა არმსტრონგისა, საშინელს მწუხარებაში იყო, მოხუცმა მიიღო წერილი ლინკოლნისაგან, რომელიც აცნობებდა მას, რომ კისრულობს მისი შვილის დაცვას სასამართლოში, რომ ის მოიხმარს ყოველ ღონის-ძიებას გაამართლოს და გამოიხსნას იგი.

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ლინკოლნმა კარგა ხნობით გადაადებინა საქმის გარჩევა, სანამ გამოიცვლებოდნენ ნა-

ფიცი მსაჯულნი, რომელნიც იმ დროს სუოგელთაო ეჭვიანობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ამიტომ არ შეეძლოთ მიუდგომელის სისწორით მეჭსებოდნენ საქმეს. შემდეგ მან შეგრიბა ნამდვილი, უტყუარი ცნობები იმაზე, რაც მომხდარიყო, და რაკი დარწმუნდა არმსტრონგის სრულიად უდანაშაულობაში, გულ-დამშვიდებული ელოდა საქმის გარჩევის დღეს.

სასამართლოს სამსჯავროს დარბაზი სავსეა ხალხით, დაიწყო ჩვენება მოწმებისა. ყველანი ისე აჩვენებდნენ, რომ ასალხაზდა არმსტრონგი, მართლა მკვლელი გამოდიოდა და ამიტომ დასჯა მისი ყველას აუცილებელი ეგონა. მაგრამ, აი, წამოდგა თავის ადგილიდან ბრამ ლინკოლნი. ჯერ ერთ მან მიჭმართა რამდენიმე უმნიშვნელო კითხვებით მოწმეებს და დაყენებით თხოულობდა, რომ ნამდვილად უჩვენონ მას ადგილი და დრო დანაშაულობისა. შემდეგ ლინკოლნი სცდილობს დარღვიოს ის ტრუ ხმები, რომლებიც გავრცელებული იყო ხალხში ასალგაზდა არმსტრონგზე; ის ამტკიცებს: ბრალდებული რომ კიდეც განუსჯელი და თავხედი ასალგაზდა იყოს, ეს მაინც არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არ გვაძლევს, რომ მას ამგვარი დანაშაულობის ჩადენა შეეძლოსო. სხვათა შორის, ლინკოლნი უჩვენებს იმასაც, რომ უმთავრეს მოწმეს ჯერადი მტერობა აქვსო ბრალდებულთან. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდება დარბაზში, როცა ნიჭიერი ვეჭილი მტკიცე ხმით იწყობს ლაპარაკს მოწმების დაუსაბუთებულ-დაბნეულ ჩვენებაზე. და, აი, სიტრუე ამ ჩვენებათა ყოველ ეჭვს გარეშეა; ყოველიგე, რაც ჯერველში აგრე ადვილ-დასაჯერებელი იყო, ახლა ბოროტ განზრასულ ცილისწამებად წარმოუდგათ წინ. მოწმე აჩვენებდა, რომ საკუთარი

თვალით ვნახე მთვარის შუქზე, — თუ როგორ დასჭრა სასიკვდილოთ არმსტრონგმა მოკლულია, ხოლო, ლინკოლნი ამტკიცებს, რომ იმ დროს მთვარე არც-კი იყო ამოსულია. ეოგელსაგე ამას ლინკოლნი ამბობდა ისეთი დამაჯერებელი სიცხადით, რომ ყველა მზათ იყო წამოეძახა. — „ბრალდებული უბრალოა“! ლინკოლნი არ კმაყოფილდება ამით. მისი გული დიდი ხანია აღსავსეა თანაგრძნობით ახალგაზდა კაცისადმი და მადლობითა მის მშობელთადმი; ეს საკმაო იყო, რომ მას ერთბაშათ აღმოეთქვა განმხნეებული მგზნებარე სიტყვები. ასეც მოხდა: მისი სიტყვა, როგორც ქუხილი, თავ-ზარად დაეცა ცრუ-მოწმესა და ფიცის-გამტეხ ბრალ-მდებელს: ფერმიხდილი, მღელვარებისაგან თავბრუ დასხმული და შერცხვენილი ბრალმდებელი ბარბაცით გარეთ გამოვიდა.

ამის შემდეგ ლინკოლნმა მიჭმართა მსაჯულებს. ის ემუდარება მათ წარმოიდგინონ თავისი თავი არმსტრონგისა და მისი საბრალო დედის ადგილას, ელაპარაკება მათ, როგორც მამებს, რომელთაც შეიძლება შვილი დაკარგონ ამგვარიგე საზიზღარი ცილის-წამების წყალობით; — ესაუბრება მათ, როგორც ქმრებს, რომელთ ცოლები შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ ქვრივ-ოხრებად; ის ეფიცებს მათ არამც და არამც არ გაიტარონ გულში ხალხში გავრცელებული უჯერო მითქმა-მოთქმა და ბრალდებულს სრული სიმართლე აღმოუჩინონ. დასასრულ, როცა ლინკოლნი მგზნებარე სიტყვებით შეეხო იმას, თუ რა დაუფასებელი მადლობის მოკვლა თვითონ ის ბრალდებულის მშობლებისადმი, დარბაზში ქვითინი გაისმა...

ღამდებოდა. საღამოს ყამი იყო მოტანებული. ჩამავალ მზის სხივი ფანჯრებიდან ხალხით გაჭედილ დარბაზს ეფი-

ნებოდა. უეცრად ლინკოლნმა შესწყვიტა სიტყვა, გაიხედა ხელი მზისაკენ და სთქვა: მოსამართლენო! კიდრე ეს მზე ჩავიდოდეს, არმსტრონგი უნდა განთავისუფლებულ იყოსო!..

ამ სიტყვებით ლინკოლნმა გაათავა თავისი ბრწყინვალე სიტყვა და სასამართლოს მოაჯირს მოშორდა. მსაჯულები გავიდნენ მეორე ოთახში განჩინების დასადგენად. ნახევარი საათის შემდეგ მსაჯულნი კვლავ გამოვიდნენ და ერთმა მათგანმა შიშით და ძრწოლით ყველასაგან მოსალოდნელი სიტყვა წარმოსთქვა: „არმსტრონგი დამნაშავე არ არისო!“ დედაბერს არმსტრონგისას გული შეუღონდა. შვილი, რომელიც იმავ წამს გაანთავისუფლეს, მიეარდება დედას და ალერსიანი სიტყვებით სცდილობს მოაბრუნოს იგი. ლინკოლნი თვალებ-ცრემლიანი დუმილით უმზერს ამ სცენას!

— „ჩემო მხსნელო!“ — შეჰყვირა ასალ-გაზდა კაცმა თავის მხსნელს, აბრამ ლინკოლნს. ის სწრაფის ნაბიჯით მივიდა ლინკოლნთან და კისერზე მოეხვია. ლინკოლნმა გრძნობით ჩამოართვა მას ხელი და უთხრა: „აგერ, მზე ჯერ არ ჩასულა და შენ კი თავისუფალი ხარო“!

არმსტრონგის საქმემ დიდად გაუთქვა სახელი ლინკოლნს. ნიჭიერ კაქილზე ალაპარაკდა მთელი შეერთებული შტატები. რაც შეეხება თვით ლინკოლნს, ის უმეტესის, ვინემ ოდესმე, თავდადებით შეუდგა იურიდიული საგნების შესწავლას. თავის საცხოვრებელ ადგილად ლინკოლნმა აირჩია სპრინგფილდი, პატარა ქალაქი ილინოისის შტატში. იქ შეირთო მან ცოლად 1842 წელში მერი ტოდი, ჭკვიანი, ლამაზი და ხუცხოვად განათლებული ქალი, ოჯახური ცხოვრება მისი ისეთი ტკბილი იყო, რომ წარმოსადგენადაც ძნელია. ტურფა მერმი მოაწყო

ძი სი სახლი ყველასთვის მისაჩნევად და საამურად; საზოგა-
დოებაში ახალგაზდა ლინკოლნებს ღებულობდნენ სიყვარულით
და პატივის ცემით. მთელი მისი ცხოვრების უმთავრეს მი-
ზნად იმ დროს იყვნენ სისი შვილები, ოთხი ჯან-საღი კაჟი,
დიდის მზრუნველობით და სამაგალითოთ აღზრდილნი. ლინ-
კოლნის მუდმივი სურვილი იყო არ აჭყოლოდა არავითარ პო-
ლიტიკურ მოძრაობას და მთლათ მისცემოდა იურიდიულ მო-
წოდებას და ეცხოვრა ოჯახის კეთილდღეობისათვის. მაგრამ
მისი ბედი სხვაფერ შეიკვეცა. შეერთებულ შტატების ისტორიულ
ცხოვრებაში მზადდებოდა ღირს-შესანიშნავი ცვლილება და
როგორც ამბობს, ამერიკელი ორატორი ჭენრი კლეი, „ლინ-
კოლნს არ შეეძლო სიბნელეში დაემალა თავისი სინათლე“.

## მონების ცხოვრება ჩრდილო-ამერიკის შე-
## ერთებულ შტატებში.

ერას ორმოცდა ათმა წელმა განვლო მას აქეთ, რა
ინგლისის ხომალდი „მაისის ყვავილი“, რომელ-
მაც მიიყვანა ევროპის ბირველ-გარდასახლებულნ
ჩრდილო ამერიკაში, მიადგა ამ ქვეყნის კიდეებს
ამ ხნის განმავლობაში დაუღალავი, სიცოცხლით სავსე ხიზ-
ნობა, თოფ-ზარბაზნების, ორთქლით სამუშაო მანქანების დ
სხ. ამგვარ ხელოვნების შემწეობით, ისე გამრავლდა და გა-
ძლიერდა ახლად აღმოჩენილს ქვეყანაში (ამერიკაში), რომ გა-

დძოსახლებულთა რიცხვი ოტ-და-ათ მილიონამდე აკიდა. ახლად გადმოსახლებულმა ევროპიელებმა ეს არ იკმარეს და ოთხ მილიონზე მეტი კიდევ ათრიკის მცხოვრებნი—ზანგები—გადმოასახლეს ამერიკაში. რად მიატოვეს ამ შავ-კანიანებმა თავისი, უმისოდაც ტოტა ხალხიანი სამშობლო?

რომ გიპასუხოთ ამ კითხვაზე, მიუცილებელია გავიხსენოთ ზოგიერთი გეოგრაფიული პირობები ამერიკისა. ეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და შეიცავს ყოველ-გვარი ჰავის და სითბო-სიცივის ქვეყნებს, რისგამოც იქ ბუნება საკვირველად დასხვავებულია. ეს დასხვავება მცენარეულობისა და ცხოველებისა შეადგენს განსაკუთრებულს თვისებას შეერთებულ შტატებისას, რომელთაც უჭირავთ უმეტესი ნაწილი ჩრდილო ამერიკისა. თვით იმ დროს, როდესაც ჩრდილო შტატებში იზრდება ხელ-უკარება ფერადი ყვავილებით შემკული ტყეები, და შემოდგომის ნათესობა ხანდისხან ფუჭდება სასტიკი ზამთრის ყინვისაგან,—პოხიერი ნიადაგი სამხრეთი შტატებისა აზდკაკებულია თვალ-უწდომი სახნავ-ნათესებით, ბამბით, შაქრის ლერწმით, ბრინჯით და სიმინდით. ამოდენა მინდვრების შემუშავება პაპანაქება სიცხეში თეთრ კაცს, ჰაერით შეზავებულ ქვეყნის მკვიდრს, ე. ი. ზომიერ ჰავიანის ევროპის მცხოვრებს, არ შეუძლია. ასტიკებლად ამ გარემოებისა, ვან მიმართა ღონის-ძიებას, რომელმაც წაურეცხავი სირცხვილი შესძინა მთელს ევროპას და ამერიკაში გადასახლებულებს: თავდაპირველად ესპანელებმა და პორტუგალებმა და მათ შემდეგ ჭოლანდელებმა და ინგლისის წვრილმალ ბაზაზებმა მიჰყვეს ხელი მონების შესყიდვას ათრიკაში, უმეტეს ნაწილად ზემო და

ქვემო გვინეთის ნაპირებზე და, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ოთხ მილიონზე მეტი ზანგი გადაიყვანეს ამერიკაში და მიჰყიდეს ამერიკის სამხრეთ შტატების პლანტატორებს, ე. ი. ევროპიდან გადმოსახლებულ ამერიკის მემამულეებს. ეს ვის ეგუთვნის პირველად ეს თავ-შემარცხვენელი დაწყება „ადამიანით ლებ-მიცემობისა“!?

ამერიკის მწველ სიცხეებთან შეზრდილ ზანგებს მუშაობაც ჩვეულებრივ ეადვილებათ ამერიკის ცხელ-ჰავიან, მაგრამ მეტად ნაყოფიერ მინდვრებში. უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ ამერიკელებს ზანგები შინაურ პირუტყვებად მიაჩნდათ და ამიტომ მეტად უღმერთოდ და შეუბრალებლად ეპყრობოდნენ მათ, პირუტყვებსავით, როცა მოესურვებოდათ ჭყიდნენ და ჭხოცავდნენ კიდეცა, გაუყიდნენ ცოლს ქმარს, ქმარს — ცოლს, დედ-მამას — შვილებს და სხვა ამ გვარ მრავალ მტარვალობას აუნებდნენ მათ. ჩვეული არავისთან შეიძლებოდა, რადგანაც ამერიკის მაშინდელი კანონები, დადგენილი თეთრების-მიერ, იცავდა მხოლოდ თეთრების უფლებას და სხვისას-კი არას დაგიდევდნენ. თავის თავმოყვარეობაში სამხრეთელები იქამდე მივიდნენ, რომ უსირცხვოდ ამტკიცებდნენ — ზანგებს სული არ გააჩნიათო ან, მაინც, ისეთი სული, როგორიცა თეთრ კაცებს აქვთო.

---

## ჩენრი კლეის დროშის ქვეშ.



ეგრამ ჩრდილო ამერიკაში სულ ყველა-კი არ იყო თანამოაზრე სამხრეთელ ბლანტატორებისა (მემამულეებისა) მონობის შესახებ. ჩრდილო შტატებში, სადაც უმეტეს ნაწილად ხელოსნობას მისდევდნენ, მონები არ ჰრსებობდნენ. ისიც რომ არ მოგიხსენოთ, რომ დაჩაგრული მდგომარეობა ოთხი მილიონი ხალხისა საშინლად ალელვებდა ჩრდილოეთელებს, როგორც ადამიანებს და ქრისტიანებს, მონობის ჰრსებობა სამხრეთში ქონებრივათაც ეგნებდა ჩრდილოელების კეთილ მდგომარეობას. სამხრეთელებს ჩქონდათ გაცხარებული კაჭრობა ევროპასთან, რომელიც საჭიროებდა ბამბას, შაქარს და თამბაქოს; ყველა ამ საქონელს სამხრეთელები გაცილებით უფრო იაფად და კარგის ღირსებისას აწვდიდნენ ევროპიელებს, გიდრე ეს ჩრდილო შტატელებს შეეძლოთ, რადგანაც სამხრეთელებს მუქთა მუშები (ზანგები) ჩყვანდათ და თითონ ადგილიც მეტად უხვ-ბუნებიანი ეჭირათ.

მონობა სხვა მხრივაც საზარალო იყო ჩრდილო შტატელებისათვის. იმ დროს, როცა ჩრდილო შტატების მცხოვრები ოფლის ღვრით და ვაი ვაგლახით შოულობდა ლუკმა პურს, სამხრეთი შტატების მემამულე, არსეინად, თვინიერ ოფლის შრომისა, იძენდა აუარებელ სიმდიდრეს მონების შრომითა და ღვაწლით, შეეჭცეოდა ლხინს, წვეულებას, მე-

დიდურობდა უზომო სტუმართ-მოყვარეობით. მდიდარს ეოკელთვის მეტი ჭეავს მეგობრები, ვიდრე ღარიბსა; ამის გამო არჩევანების დროსაც კონგრესის წევრობაზე (კონგრესი არის უმაღლესი სამმართველო ადგილი ჩრდილო ამერიკის შტატებისა) მეტი ხმის მოგროვებაც თითქმის ეოკელთვის სამხრეთელებს ებედებოდათ. თვით უმაღლესი ადგილები სახელმწიფო თანამდებობათა—პრეზიდენტისა, სახელმწიფო მდივნისა, მინისტრებისა და სხვ. სულ სამხრეთელებს ეჭირათ. ცხადია რომ, თუ კონგრესში როგორმე ჩამოვარდებოდა სიტყვა წინააღმდეგ მონობისა, სამხრეთელი მემამულენი, მოქცეულნი მმართველობის სათავეში, იმ წამსვე ეცდებოდნენ მის გაქარწყლებას.

ეს კიდევ ცოტაა: გაფუჭებულმა ადვილად შეძენილი სიმდიდრით, მოგლებულმა, უქმი და ფუჭი ცხოვრების წყალობით, ეოკელსავე მოქალაქობრივს კაკ-კაცობას, სამხრეთელებმა მოინდომეს სრულიად გასდგომოდნენ ჩრდილო შტატებს; მათ განიძრახეს დაფუძნება საკუთარი რესპუბლიკისა, რომ თავისუფლად ეპარპაშნათ საწყალ მონებზე და იმას-კი ალარ ფიქრობდნენ, რომ ასეთი გაორწილება სახელმწიფოსი შეიყვანს მიუცილებელ უბედურებაში შეერთებულ შტატებს, დაასუსტებს და უთუოდ დაუმორჩილებს მათ რომელსამე უფრო ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც, მაგალითად, იყო მათი უწინდელი მფობელი ინგლისი.

წინააღმდეგ ამ თავ-მოყვარეთა, რომელნიც თავის თავს „დემოკრატებს“ უწოდებდნენ, ე. ი. ხალხის მომხრე-მეგობრებად, წარმოსდგა დასი, სამშობლოსათვის თავ-დადებულ მამულიშვილთა, რომელმაც დაირქვა სახელი „მართველობა ერისა“. უფროსობა ამ დასისა იკისრა ჭენრი კლეიმ, კაცმა მეტად ნიჭიერ-

მა და კეთილ შობილმა. „დაცვა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ერთობისა და ძირეულად აღმოფხვრა მონობისა, აი ის დედა-აზრი, რომელიც წინ უძღოდა ჩვენი კლეის და მის თანამომხრეებს!“

განა კიდევ საჭიროა ლაპარაკი იმაზე, თუ ამ ორ დასთაგანში რომელს მიეკერძა ლინკოლნი? შვილი მუშისა, გამოკლილი მეტიკეობას, კაჭრობას, ჯარის კაცობას ან მიწის მზომელობას, რომელმაც ბოლოს, ასეთი მაღალი ადგილი დაიჭირა საშობლო შტატში, — მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ თავისუფალი ფიზიკური და გონებითი შრომა იცოდა. ცხადია, თუ რა გვარი ზიზღით უყურებდა ლინკოლნი ძალ-დატანებით შრომას, როგორ აშფოთებდა მას მის საშობლოში ასე უსირცხვილოდ დანერგილი მონობა; და, აი, ახლა, მოწყლული მონობის თაობაზე აღძრული კითხვით, ის სულით და გულით შეუერთდა ჩვენი კლეის, ე. ი. „ერის მმართველობის დასს“.

უწინარეს ყოვლისა ლინკოლნი ეცადა მოეშოვა ამ დასის თავის მომხრეები ბეჭდვითი სიტყვით და ცხოველი გაკვლენიანი მჭევრმეტყველებით. ლაპარაკობდა ის საუცხოოდ და არა-ჩვეულებრივ მარტივად და ცხადად თვით საშინო საგნებზე. საღსურ თქმულებიდან აღებული შედარებებით, მოსწრებულ-მოხერხებული და მკვეთრი დაცინვით, ის ასურათებდა მსმენელთ წინაშე აღებულს კითხვას და შესანიშნავის სელოვნებით აჯერებდა მათ ყოველივე მის-მიერ ნათქვამის სიმართლეში.

აი, მაგალითად, როგორ ელაპარაკებოდა ის ბრბოს, დახარბებულს მისი სმენით: „ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს თავისი თავის ამაღლებას როგორც ნივთიერად, ისე სულიერად. ამ გულის წადილს ადამიანი უნდა ეწიოს თვისი შრომით ისე, რომ სხვი-

სი იმედი არ უნდა ჰქონდეს, მისთვის რომ ყველამ მიიღო ღვთისაგან არა მხოლოდ კბილებით შეიარაღებული პირი, არამედ ორი ხელიც. ყოველად შემძლებელს რომ იმგვარი ხალხის შექმნა ენებებია, რომელსაც ჰქონოდა მხოლოდ ჭამის უფლება და მუშაობისა-კი არა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ის მარტო პირს მისცემდა მას და არა ხელებს!

ჩემი შეხედულება შრომაზე ასეთია: ახალგაზდა კაცი მიაღწევს-რა იმ ჭასაკს, რომელიც ითავისუფლებს მას მამის მზრუნველობისაგან; მას არა აქვს სხვა შეძლება, გარდა ღონიერი, ღვთის-მიერ მისდამი მიცემული ხელებისა და მტკიცე, შეურყეველი სურვილისა შრომისადმი; ის ჰფლობს მასთან თავისუფლებითაც, რომ აირჩიოს თავისთვის თვისი საკუთარი სურვილისამბერ რაიმე ხელობა ანუ სამუშაო. მას არა აქვს არც მიწა, არც სახელოსნო, ამისათვის პირველად ის მუშაობს სხვასთან. ცხადია, რომ ის, საკუთარი სურვილით გამომრჩეველი თვისი ხელობისა, შრომობს ერთგულად, ცხოვრებს ზომიერად, ეკონომიურად, და, აი, ერთი ან ორი წლის მუშაობის შემდეგ მას აღმოუჩნდება ცოტა-რამ მონარჩენებული, შენახული. ასლა ის თვითონ ჰყიდულობს თავისთვის ერთ ნაჭერ მიწას, ესახლება იმაზე, შეირთავს ცოლს, მოეკიდება ოჯახობას და მოაგროვებს რამდენიმე ხნის განმავლობაში სათავნოს, საკმარისს მისთვის, რომ თავის დროზე დაიქირაოს ახალ-ბედა მუშა, რომლისთვისაც სწორედ ამ სახითვე გაიხსნება გზა და მოუკიდებლობისა. ასეთი გზა ეთანხმება მოთხოვნილებას გონებისას, სიმართლისას და მიუძღვის ბედნიერებისაკენ; ეს გზა დაანახვებს ყველას მომავალს და ამისთვის ჯიდეც აქეზებს და უღვიძებს სურვილს გონივრულ შრომისადმი“...

ამგვარად ჭღალადებდა ლინკოლნი თავისუფალ შრომაზე და ამხობდა მონობას, ხოლო განსაკუთრებით უწყალოდ სდევნიდა ზანგებით მოვაჭრეებს.

ლინკოლნის თავ-გამოდებით და მისდამი საზოგადო სიყვარულის შემწეობით, „ერის მმართველობის დასმა“ მალე შეიძინა აუარებელი მომხრე, მაგრამ ლინკოლნის სიტყვით, ის მაინც მხოლოდ „გმირულს უმცირესობას“ შეადგენდა, რადგან ის კაჟ-ბატონები, რომელნიც სამმართველოს სათაურში იდგნენ, იყვნენ სამხრეთელები და ყოველგვარი მოსყიდვით სცდილობდნენ შეეძინათ, რაც შეიძლებოდა, მეტი საარჩევნო ხმა.

ახალი პრეზიდენტის არჩევის დროს ერის მმართველობის დასი იძლია. ამათი კანდიდატი, ჭენრი კლეი, ვერ გაიყვანეს, თუმცა მხოლოდ ძალიან მცირ-ოდენი ხმის უმეტესობით გაიმარჯვა მოწინააღმდეგე დასმა. პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელ-ახლა სამხრეთელების მომხრე აირჩიეს. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გამარჯვება ბორბონისა კეთილზე. ადრე თუ გვიან სიმართლეს უნდა ეძლია, და აკი ჭსძლია კიდეცა!

## აბრაამ ლინკოლნი—პრეზიდენტი ჩრდილოამერიკის შტატებისა.



ორა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდნენ კაშინგტონის ქუჩები ნოემბრის 6-სს, 1860 წელსა. მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეერივნენ მოგანგაშე ხალხის ათვრადებულს ბრბოს, რომლის ათასხმოვანი გუგუნი შორს გაისმოდა. სახლების კედლებზე გამოფენილი იყო უშველებელი დროშები გეებართელა წარწერებით, ბალკონებიდან უყრიდნენ ხალხს დასტამბულ ფურცლებს და თვით ყოველი შეგნებული ამერიკელი, დიდი და პატარა, იმ დღეს თავის თავად მოარულ განცხადებას წარმოადგენდა: მათ ჩამოეკიდნათ განცხადებანი ყოველ მხრივ, და ასეთის უცნაურის ტანისამოსით დადიოდნენ ხალხში. მთელი ერი თითქოს ანთებით იყო ატაცებული... ამ საბოლოოდ დღეს სწყდებოდა ბედი შეერთებული შტატებისა.

ოთხ-წლიან კადას სამხრეთელების მომხრის, ჯემს ბუხანანის, პრეზიდენტობისას, მოელო ბოლო: საჭირო იყო არჩევა მისი მოადგილისა. მთელი ოცდაათი მილიონი ხალხის ინტერესები იყო მოთავსებული იმ კითხვაში, თუ ვინ იქნება ამ მოადგილედ—ისევ სამხრეთის მომხრე, თუ წარმომადგენელი „ერის" მმართველობის დასისა." თუ სამხრეთელებმა თვისი კაცი გაიყვანეს,—მონობაც დარჩება სასულმწიფოში უწინდებურად, სამხრეთის შტატები დასტილდებიან ჩრდილოეთისას და გაორწილებული რესპუბლიკა უსაცილოდ დაიღუპება, თუ

ჩრდილო შტატებმა გაიმარჯვეს — მაშინ სამხრეთელები საუკუნოდ უნდა გამოეთხოვნენ თავიანთ უზრუნველს, ხალვათს ცხოვრებას, და ბატონების მათრახსაც ბოლო მოელებოდა. ასეთი მდგომარეობა საქმისა ძალიან კარგად ესმოდა ყველა ამერიკელს და გულის ძაგძაგით მოელოდნენ კენჭის ყრას.

დასასრულ, ასე, სალამოს ყამს, უცბად გაისმა მთელს ქალაქში და შემდეგ მთელს შეერთებულ შტატებშიაც სახელი ახალი პრეზიდენტისა, რომელიც არჩეულ იყო ხმის უმეტესობით. ეს სახელი იყო აბრამ ლინკოლნი. ძნელ დროს არგუნა ბედმა ლინკოლნს პრეზიდენტობა. მისი წინამოადგილენი ზრუნავდნენ მხოლოდ სამხრეთელების კეთილდღეობისათვის. სასელმწიფო მდივანმა, კობმა, რომელიც თვით იყო მონათმეპატრონე, დასტოვა სასელმწიფო საზინა თითქმის ცარიელი; სამხედრო მინისტრმა, თფლოიდმა, გამოალაგა ჩრდილოეთის თოფსანებიდან თითქმის ყოველი საჭურველი და გადაზიდა სამხრეთში; უმეტესი ნაწილი სამხედრო სომალდებისა იყო აგრეთვე გარდაცემული სამხრეთელების ხელში.

არ გაკვლო ჯერ ერთს კვირას ლინკოლნის პრეზიდენტის თანამდებობაში შესვლისა, რომ კაროლინაში უკვე გაოცხადდა სამხრეთელების დეპუტაცია წინადადებით სამხრეთის ერთმეტი შტატებისაგან იმის შესახებ, რომ ჩრდილო შტატები ნებაყოფლობით გაჰყოფდნენ სამხრეთელებს და ამ გვარად ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაეარსებინათ. ლინკოლნმა მიიღო თუ არა თავის თავზე პრეზიდენტობა, საჯაროდ დაიფიცა — დაეცვა ერთობა შეერთებულ შტატების კავშირისა, და ამიტომ უარი სთქვა შესულიყო რაიმე მოლაპარაკებაში სამხრეთის წარმომადგენლებთან. ჯასუხად მის უარზე

მოისმა გრიალი ზარბაზანთა, მიმართული სამხრეთელებისაგან სემბტერის ციხეზე, რომელიც ერთი საუკეთესო სიმაგრეთაგანი იყო ჩრდილო და სამხრეთის შტატების საზღვარზე. ეს იყო პირველი სროლა, რომლითაც დაიწყო ბრძოლა ჩრდილო ამერიკის შტატების ძმათა შორის. ამოდენა მილიონი ხალხი, რომელიც წინა დღეს ძმებად ითვლებოდნენ, გარდაიქცნენ ახლა ერთმანეთის გაოგთრებულ მტრებად.

აი ამ ძნელ დროს გამოიჩინა ლინკოლნმა მთელი თავისი ჭკუა და უნარი, მთელი თავისი მხნეობა. შეიტყო თუ არა, რომ სამხრეთელებმა სემბტერის სიმაგრეს ზარბაზნები დაუშინესო, იმან, როგორც უფროსმა მთელი რესპუბლიკისა, გამოაცხადა სამხრეთელები მეამბოხებად, მოწინააღმდეგებად რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა, და დაუყოვნებლივ მოსთხოვა კონგრესს ომისათვის 400 მილიონი დოლარი (რვასი მილიონი მანეთი) და 400,000 ჯარი. თუ რამდენად დიდი იყო ამერიკაში ნდობა-სიყვარული ამ პირისადმი სჩანს იქიდან, რომ კონგრესმა დაუყოვნებლივ გადასდო ომისათვის 500 მილიონი დოლარი და ნახევარ მილიონი ჯარი გამოიყვანა ბრძოლის ველზე.

სამხრეთის შტატებმაც აგრეთვე გამოიღეს ამ ბედ-იღბლის გადამწყვეტ ბრძოლისათვის მთელი თავისი ძალ-ღონე. ჯარის უფროსად მათ დაუყენეს ჯეფერსონ დეკისი, სარდალი დიდად ჭკუიანი და ნიჭიერი. ოოველგან გაჩაღდა გაცხარებული მზადება ომიანობისათვის. მრავალი ათასი ხელი გატაცებით ამზადებდ საჭურველსა და ტანისამოსს. სამხრეთელებმა მალე გამოაწყვეს 25000 მხედრობა და 150,000 კაცი თვით-მსურველთაგან შემდგარი ჯარი. უკანასკნელთა რიცხვში ბევრი ზანგიც ერი

მაგრამ ცხადი იყო, რომ არა თავისი ნებით მიჰყვეს ხელი იარაღს ამ „თვით-მსურველებმა“. ისინი ჩააყენა მხედართა რაზმში ბატონების ძლიერმა ხელმა; ამ რიგად უბედურ მონებს შეხვდათ გაღაშქრება იმათ წინააღმდეგ, რომელნიც მათიანვე განთავისუფლებისათვის ომობდნენ. ადვილ გასაგებია ყოველ ამის შემდეგ, რომ ზანგები, გროვა-გროვად და მიუხედავად სიგვიანეთ დასჯის შიშისა, სტოვებდნენ სამხრეთელების ბანაკს და ივლტოდნენ ჩრდილოელთა რაზმებისაკენ.

ჩრდილოეთი და სამხრეთი გადაიქცა ორ უშველებელ სამტრო მხედართ სადგურებად. 19 ივლისს მოხდა მათ შორის ბელ-რენეს მდინარესთან ვირგელი შეტაკება, რომელიც გაოცდა ჩრდილოეთელების დამარცხებით. მაგრამ ამაოდ: დამარცხებამ სიმართლის მმოსსავნი ვერ შეაშინა! ჩრდილოელებმა მოუმატეს სიმხნე-მეცადინეობას და ბოლოს აკი დასძლიეს კიდეც სამხრეთელებს,

ოთხ წელს გაგრძელდა ეს საზარელი მოძმეთ მმუსრავი ომი. შვიდი მხედართ-მთავარი, ერთი-მეორეზე მიყოლებით, გამოსცვალეს ამ დროს ჩრდილოეთელებმა, სანამ ბოლოს რიგმა არ მიაწია სახელ-განთქმულს სარდალს, ულლის გრანტამდის, რომელმაც, არა ნაკლებ ნიჭიერის ლენერლის, შერჰანის შემწეობით, შემოარტყა ჯარი უმთავრეს სიმაგრეს სამხრეთელებისას, ქალაქს რიჩმონდს, დაამარცხა მათი უმთავრესი წინამძღოლნი და, დასასრულ, ქედიც მოახრევინა აჯ-ნეებულს სამხრეთს სიმართლის წინაშე...

1 იანვარს 1863 წელს ლინკოლნმა გამოაცხადა მონობის გაუქმება, და მთელს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების თავლ-უწდომ სიკრცეზე მოისპო სახელი მონისა.

ასე და ამ გვარად, მიუხედავად ყოველი სიძნელისა, ზან-

გები გასთავისუფლდნენ მონობისაგან და აბრაამ ლინკოლნმა მიიღო წოდება „ზანგების განმათავისუფლებისა". ლინკოლნი ცხადად სედავდა თავისი თავის უკარგისობას საერდლობის თანამდებობაში და ამიტომ არც-კი ერეოდა საამსედრო საქმეებში, რომელნიც მან კონგრესის-მიერ არჩეულს მსედართ მდავარს მიანდო. თითონ-კი იკისრა მოკავლეობა, არა ამაზე ნაკლებად საამჟიმო—მიწოდება კარისათვის საკირო იარაღისა და საერსათისა. ამ რთული საქმის შესრულებას დაასმარა მან მთელი თავისი გონება, მთელი თავისი ძალა. მომქმედ კარს აცილებული ჰქონდა ყოველი ნაკლებობა. საერსათი მოსდიოდათ უხვად. უცბად დაარსეს კეკბართელა ქარხნები, სადაც მზადდებოდა აუარებელი საკერველი. აგეს მრავალი გემები და ჩაუშვეს ზღვაში. ამ მუშაობას მათ ზედ დაასმარეს ყოველიგე საამეცნიერო სელოვნება: ჩინებულად შეიარაღებული, მაძღარი, ყველაფრით კმაყოფილი სალდათები მსნედ მიდიოდნენ ბრძოლაში. თავისი გონიერული განკარგულებით და მზრუნველობით კარზე ლინკოლნი ერთიორად ჰსდიდა მის ძალას.

ლინკოლნი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა მოწინააღმდეგეებთან, მტკიცედ მისდევდა თავის კეთილშობილურ მისწრაფებას, მაგრამ მასთან ერთად, არაოდეს არ იკიწყებდა წინააღმდეგთა შესახებ დიდს ქრისტიანულს მოკავლეობას,—სიბრალულს. გულ-ჩვილი და მოუკარული ბუნებითად, ის არავისთან არ ზრდიდა ბირალს მტერობას, და ამიტომ არ გასდევდა დევნას და დასჯას მოწინააღმდეგე დასის წინამძღოლებისას.

ზემოდ მოხსენებულმა ცნობილმა ლენერალმა შერმანმა მიჰმართა ერთსულ პრეზიდენტს ლინკოლნს და ჰკითხა: „რო

გორ მოგეძლე სამსრეთელების წინამძღოლს, ჯუგერსონ დეგისს,—დაგატუგეგო იგი, თუ შეგაძლებინო გაქცევა?!"

— იცით, ლენერალო,—მიუგო მას ლინგოლნმა:—როგორც პრეზიდენტმა, მე უნდა მოგცეთ თქვენ ბრძანება დეგისის დაჭერისა, მაგრამ,—დაუმატა მან ღიმილით,—თუ თქვენ მოასწერსებთ ისე, რომ ის ჩემდა გაუგებრად გაიქცეს,—მე ამით ძალიან არ შეგწუხდებიო.

აი, კიდეკ ერთი ამგვარი შემთხვევა, რომელშიაც გამოჩნდა არა ჩვეულებრივი გულ-შემატკივრობა ამ დიდებული კაცისა! ერთი ლინგოლნის ნაცნობთაგანი რაღაც შემთხვევით შეეიდა მასთან და ნახა, რომ ზის იგი სტოლთან და დაკვირვებით სთვლის გროვა-გროვად დაწყობილს ქაღალდის ფულს. შეხედა თუ არა ამისთანა მეხანიკურ მუშაობას, რომელიც სრულებით არ იყო საკადებული შეერთებულ შტატების პრეზიდენტისათვის, ნაცნობმა კერ მოითმინა და პირდაპირ გამოსთქვა თავისი განცვიფრება.

— ოღონდაც, რომ ეს საქმე მე არა მაქვს ნაბრძანები კონგრესის მიერ,—უთხრა მას ლინგოლნმა, თავისი ჩვეულებრივი ტკბილი ღიმილით,—ეს ფული, ესთქვათ ჩვენში, მე-კი არ უნდა გადავთვალო, არამედ ერთმა ზამგმა, რომელიც მსახურებს ხაზინადრად სახელმწიფო სალაროში; მაგრამ საცოდავი ულონოთ შეიქნა და წევს საავადმყოფოში; ამიტომ მე თითონ ვასრულებ მის მოვალეობას, თორემ შეეძლოთ მისი გადაყენება თანამდებობიდან.

ამ გვარად ლინგოლნი იყო საზოგადო მოღვაწეც და იმავ დროს თანამგრძნობელიც კაცობრიობისა. მაღალმა ხარისხმა,

რომელიც მას ეჭირა, ვერ დაუჩნია მასზე ვერაკითარი განსაკუთრებული კვალი. ის ისევ ისეთი საუცხოო თავმდაბალი, გულ-წრფელი ხუმარა იყო, როგორც ბატარაობაში, იმ განსხვავებით, რომ ახლა ის იჯდა არა ხის ჯირკვზე, არამედ პრეზიდენტის საკარძელზე.

ამერიკელებმა შეიძლეს ღირსეულად დაფასება თავისი დიდი მოქალაქისა. ისინი უზომო სიყვარულით და პატივის ცემით ეტრფიალებოდნენ მას. ოთხწლიანი ვადა, რომლითაც ირჩევა პრეზიდენტი შეერთებულ შტატებში, თავდებოდა. დადგა დრო ასალ არჩევანებისა და აუარებელი ხმის უმეტესობით პრეზიდენტად ისევ აბრაამ ლინკოლნი აირჩიეს. ეს დიდად ეწყინათ სამხრეთელებს და მათ გადაწყვიტეს მოეკლათ იგი.

## სიკვდილი აბრაამ ლინკოლნისა.



პრილის 14-ს 1865 წელსა, თვით იმ დღეს, რ
დღესაც ოთხი წლის წინეთ სამხრეთელებმა და
იპყრეს სემპტერის ციხე, ვაშინგტონში მივიდ
ამბავი იმაზე, რომ ეს შესანიშნავი სიმაგრე ჩრდი
ლოელებმა უკან წაართვეს სამხრეთელებსო. ა
ამბის გამო ქალაქში საყოველთაო სიხარული ჩ
მოვარდა, რადგანაც სემპტერის ციხე იყო სამხრეთელების
უკანასკნელი იმედი; ახლა ის იქმნა აღებული, კარი იმათი გ

ფანტული, ბევრი მათი წინამძღოლთაგანი დახოცილი ან წაყვანილი ტყვედ;—გამარჯვება მოკავშირეთა იყო სრული.

ჩრდილოელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... გამოცხადდა სადღესასწაულო წარმოდგენის გამართვა თეატრში, ლინკოლნსაც უნდა დასწრებოდა თვით პრეზიდენტი ლინკოლნი.

თეატრის დარბაზი საამდღეოდ საუცხოოდ იყო მორთულ-მოკაზმული. ყველა სიხარულში იყო, ყველგან ცოცხალი სიცა და ბასი გაისმოდა; ნაცნობი და უცნობი, ყველანი ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და გამარჯვებას და ომიანობის გათავებას ულოცავდნენ. თეატრში თავ-მოყრილი საზოგადოება მოუთმენლად გაიხედებოდა პრეზიდენტის საკარმიდამოსკენ: ყველას სურდა დაენახა მიზეზი დღევანდელი გამარჯვებისა-ბედნიერებისა, ყველას სურდა კაშა დაეძახა ლინკოლნისათვის. პრეზიდენტის სამზერელი გამართული იყო სცენის გვერდით, და მთლად ნაციონალური დროშებით შემკული. აი, ლინკოლნიც გამოჩნდა. საზოგადოებამ განუწყვეტელი კაშა დასძახა. პრეზიდენტს თან ახლდნენ მისი ცოლი და ორი ნაცნობი: მაიორი რეტბონი და ერთიც სხვა ყმაწვილი ქალი. ლინკოლნმა ალერსიანად დაუკრა თავი საზოგადოებას და დაიჭირა ადგილი სამზერლოს წინა სკამზე.

თვრდა აისადა. დაიწყო წარმოდგენა სასიამოვნო პიესისა „ჩვენი ამერიკელი ბიძია". დამსწრე საზოგადოებამ მთელი თავისი გულის-უური წარმოდგენის მოძრაობას დააპყრო, და დარბაზში სრული მყუდროება ჩამოვარდა.

სწორედ ამ დროს დაიჭექა დამბაჩამ უეცრად და ვიღაცა კაცი საზარელის ძახილით—„თავისუფლებაო!"—გაქანა პრეზიდენტისკენ, რომ სცენაზე გადმოხტრიეო. რეტბონს უნდოდა

დაეჭირა იგი, მაგრამ უკეთურმა დამბაჩამ თავი ანება, სარტყლის ქვეშიდან ხანჯალი ააბრიალა და შიგ გულში დაუღერა მას. რეტბოლმა ხელით აიშორა დაკვრა ხანჯლისა და სწვდა ტანისამოსში, რომ დაეჭიროს იგი, მაგრამ სამზერლოდგან ის სტენაზე გადახტა, თითქმის ორი საუნის სიმაღლიდან და სიტყვებით—„სამხრეთი ჯვარ-ამოყრილია!“—გულისებში მიიმალა. თეატრის ერთ-ერთს გამოსავალთან მას ელოდა შეკაზმული ცხენი და ოუმცა იმარჯვა და მარდათ მოახტა ცხენს, მაგრამ ამად: ის იქვე გათანგეს.

ეს იყო, რაგორც მერე აღმოჩნდა, ვილგს ბუუსი, ოთეილი მსახიობი და მძიგერი მომხრე სამხრეთელებისა. კარგად მცოდნე თეატრის მოწყობილობისა, ის დამალულიყო ბნელს დერეფანში, რომელიც იყო პრეზიდენტის სამზერლოსთან, გაეკეთებინა პაწია ხვრელი, საიდანაც შეეძლო დაენახა ყველაფერი რაც ხდებოდა საპრეზიდენტო საჯდომში. აი აქედან დაუმიზნა ლინკოლნს დამბაჩა და ტყვია შიგ თავში მოარტყა წამებულს.

ლინკოლნი დაიჭრა სასიკვდილოდ. ტყვია ტვინში ჩარჩენოდა; ის გადაიყვანეს ერთს იმის ნაცნობთაგანის სახლში, თეატრის პირდაპირ, სადაც იმ წამსვე შეკრბა მთელი მისი ოჯახობა, მეგობრები, მინისტრები და მრავალი ექიმები.

არ არის სიტყვები, რომ გამოითქვას სასოწარკვეთილება თანადამსწრეთა. სამარისებურს სიჩუმეს მომაკვდავის ოთახებში მხოლოდ საბრალო მისი ცოლის ქვითინი თუ არღვევდა; უფროსი შვილი პრეზიდენტისა, ახალ-გაზდა კაპიტანი, ცდილობდა ოდნავ მაინც დაემშვიდებია მწუხარებით თავ-ზარ დაცემული დედა, მაგრამ თვით მასაც მწუხარება ელოთან ებჯინებოდა; ის გარბოდა ოთახიდან, იცემდა თავში ხელს და მწარეთ სტი-

როდა. სტირლინგ ეველანი, სტირლინგ თვით სამხედრო მინისტრი სტენტონი, ცნობილი ხასიათის სიმტკიცით. წამებული იწვა თვალ-დახუჭვილი და მძიმედ ჰსუნთქავდა. გონება არ უბრუნდებოდა. გათენებისას ექიმებმა გამოაცხადეს, რომ ლინკოლნი გარდაიცვალა.

ასე მოკვდა აბრამ ლინკოლნი, მეთექვსმეტე პრეზიდენტი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისა, 57-ს წელში დაბადებიდან და მეორე თვეში თვისი მეორე პრეზიდენტობისა. კაცს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობისათვის დალია, ბედმა არგუნა მომკვდარიყო არა სნეულობისაგან, არა ბრძოლის ველზე, არამედ გაჯახირებული სიკვდილით, საზიზღარი მკვლელის ხელისაგან, რომელმაც ქურდულებ დამბაჩა ესროლა მას. მაგრამ, ლინკოლნი მოკვდა იმ წამს, როდესაც მის გულში უკვე იყო სასიხარულო წინადხედვა დიადის კეთილისა, რომელიც მან მოუტანა სამშობლო მხარეს. სამხრეთელებმა მოჰკლეს ის, მაგრამ საქმე, მის-მიერ შესრულებული, დარჩა მთელს თავის ძალაში, და დაღუპვა ამ საქმისა აღარავითარ გერაგობას აღარ შეეძლო...

მძიმე და დაღვრემილი იყო ის ნისლიანი აპრილის დღე, როდესაც მთელ შეერთებულ შტატებს ელვასავით დაუარა ამბავმა: პრეზიდენტს დამბაჩა ესროლესო! ის ტანჯვა-წვალებაში წევსო!.. ის მოკვდაო!..“

სამხიარულოდ მომართული ქეიფი სალხისა შეიცვალა ღრმა მწუხარებით. ყველა ქუჩებზე უცბად გაჭრა საბედნიერდღეო მორთულობანი, და ყოველივე შეიმოსა ღრმა მგლოვიარებით.

ბევრი ძვირფასი მიცვალებულისა გადაიტანეს კაპიტოლე-

ში და დასვეხეს ძმეხიერს ტასტზე. მრავალი ათასი კაცი და ქალი, შავ-კანიანი თუ თეთრი, მიეშურებოდა იქ, რომ უკანასკნელად დაენახათ დიდებული მოქალაქის, დიდებული მამულიშვილის სახე.

სამარხ ადგილად აირჩიეს ქ. სპრინგფილდი, სადაც განსვენებულმა გაატარა უკეთესი ხანა თავისი სიცოცხლისა.

ნისლიან დღეში, 19-ს აპრილს, გაუდგა გზას სამგლოვიარო ზარ-ზეიმი. ზარბაზნების გრიალით, ზარების რეკით და ურიცხვი ხალხის თანახლებით, ნელა მიიძვროდა იგი თვით იმ ქუჩაზე, რომლითაც ოთხი წლის წინად განსვენებული დიდებით მიდიოდა კაპიტოლეში პრეზიდენტის თანამდებობის მისაღებად. გზა ზარ-ზეიმისა გრძელი იყო: ის მიდიოდა შეერთებული შტატების უმთავრეს ქალაქებზე: ბალტიმორზე, ფილადელფიაზე, ნიუიორკზე, ბუფალოზე, ჩიკაგოზე და სხვ. ყოველგან, სადაც-კი მიახლოვდებოდა იგი, შესწყდებოდა ხოლმე ყოველივე საქმობა და ხალხი ასი ათასობით ეგებებოდა მას საპატიო გალობით და ამკობდა ყვავილებით კუბოს. მერე როგორი უზაკველი იყო ეს თანაგრძნობა! რამდენი წრფელი სიყვარული, რამდენი ღრმა ტანჯვა-მწუხარება გამოითქმოდა მასში! ეს აუარებელი დუნდგო, მტირალი და მლოცველი, ჭეკვანდა ერთს ოჯახს, დამკარგველს მხურვალედ მოუკვარულ მამისას.

სამგლოვიარო ზარ-ზეიმს არ მიეწია ჯერ თავის დანიშნულ ადგილამდის, როცა ქვეყანამ გაიგო, რომ მართლმსაჯულება შეეე აღსრულდა მკვლელზე, რომ ის შეეე მოკვდა.

განსვენებულის-მიერ განსაკუთრებით საყვარელ სპრინგფილდის „მწვანე მუხნარის“ სასაფლაოზე ჩაუშვეს გვამ-

,,ხალხის მამისა'' 4 მაისს, 1865 წელს. სადად გაგეთებულს ძეგლზე, საუკუნოებს გამოვლილ ხეებს ჭვეშ, ჩრდილში, მოსჩანს მხოლოდ ერთი სიტყვა ,,ლინკოლნი'' და განა არის-კი კიდევ საჭირო მიემატოს სხვა რაიმე მის ქება-მორჭმულს სახელს? უამისოდაც ყველამ იცის, რომ ეს უბრალო ძეგლი აღუმართეს უუანგაროესს, უუპატიოსნეს კაცს, დიდებულს მოღვაწეს, ჭეშმარიტს მამულიშვილს და ქრისტიანს, რომელსაც საკუთარი შეჭფერის სახარების წმინდა სიტყვები: ,,არა არს სიყვარული უმეტეს, რომელმან დასდვას თავი თვისი მოყვასთა თვისთა!''

დასასრული.

94/99
ა 182

ფასი 10 კაპ.

ჩემ-მიერ გამოცხადებული (იხ. „ივერია“ 1897 წ № 74) შეამაღლობით **იბეჭდება და მალე გამოვა:**

„**ჩვენ ქალებს**“, თარგმ. ივანდიდელისა, გამოცემა მიხ. ხელაძისა და

2) **ისტორია აღმოსავლეთისა**, ი. გომართელისა, გამოცემა ჰ. შეფისაშვილისა.

ივანე **როსტომაშვილი**.